ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2018
№90 (7635)
ფასი: 50 თეთრი

## რამაზ საყვარელიძე: „დანაშაულთან ბრძოლის საბჭოური ტრადიცია უნდა შევცვალოთ“



გვ.2

## 5 აპრილიდან

150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



# „ოცნების“ ნაწილი ბოკერიას გუნდთან კოალიციას ქმნის“



გვ.3

გიორგი ახვლედიანი: „კალაძის ფრთა პარლამენტში კვირიკაშვილის ინიციატივებს ბლოკავდა“



## ვისკენ გადაიხრება ივანიშვილი



## ზვიად კუპრავა: „ოცნების“ ხელისუფლებამ ქართველი ოფიცერი რუსი გენერლის გადმობირების გამო დააკავა“



გვ.2

## რას სთხოვდა ირაკლი ალასანია კობა თოდუას

## სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლებამ ფაროსანები მომისია“



გვ.4

## მირიან მირიანაშვილი: „გარჩნდა ახალი გარემოებები ბიძინა ივანიშვილის გასაპრეზიდენტებლად“

„რუსეთი თმობს საკონტროლო პაკეტს საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში“



გვ.5

## სამართალი

გვ.7



„მირზა სუბელიანი პროკურატურას მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ვიდეოკადრების გასაჯაროებით აშანტაჟებს“



ხორავაზე მოკლული ბიჭის მამა: „ძალიან მყარი ინფორმაცია მაქვს, რომ ორი მკვლელი გარეთ დადის. სუბელიანი პროკურატურას აშანტაჟებს“



გერის მკვლელობაში ბრალდებულ ვეფხვია ბაქრაძეს პატიმრობა შეეფარდა

## ეკონომიკა

გვ.6

იანვარ-მარტში აფხაზებმა ენგურჰესისა და ვარდნილჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგია თითქმის მთლიანად წაიღეს



მერია შეღავათიანი სამგზავრო ბარათების უკანონოდ გამოყენებაზე კონტროლს ამკაცრებს



სურამში ყოფილი სანატორიუმი „ფოლადი“ გაიყიდა



ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** გია ხუხაშვილი: „გიორგი კვირიკაშვილი უფრო ბანკების ლობისტია. ის ახლაც გაჩუმებულია“

**6** საქართველოს მოსახლეობის რა ნაწილის წლიურ შემოსავალს უტოლდება ბიძინა ივანიშვილის ქონება

**5** გიორგი გახარია: „ბანკები ზოგიერთ შემთხვევაში მუხრუჭია, ზოგიერთში კი, პირიქით, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა“

**4** სოფელ ფლავისმანის განაპირას შეიარაღებულმა ე.წ. მესაზღვრეებმა ადგილობრივი თამაზ ილურიძე დააკავეს

# რამაზ საყვარელიძე: „დანაშაულთან ბრძოლის საბჭოური ტრადიცია უნდა შევცვალოთ“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გახშირებულ კრიმინალურ ვითარებასა და შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას მიერ გაკეთებულ განცხადებებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, შინაგან საქმეთა მინისტრმა გახარიამ განაცხადა, რომ უხეში ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა რაღაც მომენტში რადიკალურად შეიცვალა და ზოგ შემთხვევებში გაუმართლებლად ჰუმანური გახდა. კრიმინალთან მიმართებით როგორი უნდა იყოს მთავრობის პოლიტიკა?***

– ყველას კარგად გვახსოვს პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან მაშინდელი პრეზიდენტის, სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება ნულოვან ტოლერანტობასთან დაკავშირებით. შემდეგ რაც მოჰყვა ამას, ისიც კარგად ახსოვს ჩვენს საზოგადოებას. სააკაშვილის ხელისუფლება საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიმართ იყო ნულოვანი ტოლერანტობით გამსჭვალული, მეორე ნაწილის, თავისიანების მიმართ კი, პირიქით, ტოლერანტული იყო დანაშაულის შემთხვევაში.

***– შერჩევით მართლმსაჯულებაზე საუბრობთ?***

– რასაკვირველია, შერჩევით მართლმსაჯულებაზე. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მთავარია პრევენცია. პოტენციურ დამნაშავეს უჩნდება განცდა, რომ ის გადარჩება. ამიტომ, თავისთავად, ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპით გამკაცრება, როგორც გამოსავალი დანაშაულთან ბრძოლისა, ყოველთვის შედეგის მომტანი არ არის, იმდენად, რამდენადაც ყველა ადამიანი ფიქრობს, რომ შეიძლება ის გადარჩეს. ყველამ იცის, რომ სიგარეტი მავნებელია, მაგრამ მაინც ეწევა, რადგან ფიქრობს, რომ მასთან ის უბედურება არ მოვა. დაახლოებით ასე მსჯელობს სასჯელის მიმართ პოტენციური დამნაშავე.

გამკაცრებაში რომ იყოს გამოსავალი, მაშინ ყველა ქვეყანაში გაამკაცრებდნენ კანონმდებლობას, სასჯელს, მთელ რიგ ქვეყნებში ორჭოფული დამოკიდებულებაა გამკაცრების კუთხით, რადგან გამოსავალი ამაში არ არის. თუმცა, ცხადია, რომ ავტორიტარულ ქვეყნებში, სადაც უმცირესი დანაშაულიც კი სიკვდილით დასჯის მიზეზი ხდება, ეს მუშაობს და დანაშაულის რაოდენობაც ნაკლებია, მაგრამ ჩვენ ავტორიტარულ რეჟიმებზე ხომ არ ვსაუბრობთ. გვიღირს კი ავტორიტარულ რეჟიმზე გადასვლა დანაშაულის შემცირების ფასად?! ნამდვილად არ გვიღირს, რადგან ავტორიტარულ რეჟიმს იმდენი სხვა პრობლემა მოაქვს, რომელიც ნებისმიერ დანაშაულზე უარესია.

***– მინისტრმა გახარიამ ბალანსის პოლიტიკა ახსენა, რომლის პოვნაც არის გამოწვევაო.***

– შეუძლებელია, გახარიას ამ შემთხვევაში არ დაეთანხმო. დიახ, ბალანსის პოვნა არის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ამ შემთხვევაში, მე ვიტყოდი, არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ ზოგადად ჩვენი საზოგადოების, ჩვენი მენტალიტეტის. მე მიმაჩნია, შეიძლება, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, რომ კრიმინალთან ბრძოლა დაახლოებით იმავე ტიპის პრობლემაა, როდესაც ავადმყოფობას ებრძვი, მაგრამ, თუ ეს ავადმყოფობა მთელ ორგანიზმს არის მოდებული, მაშინ მისი მკურნალობა უფრო რთულდება. ამიტომ მნიშვნელოვანი ღონისძიება არის პრევენცია. თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო პრევენციის მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს, პრობლემასთან ბრძოლა უფრო გაადვილდება.

საზოგადოებაც უნდა იყოს მზად ამისთვის. ჩვენი საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა თუნდაც პოლიციასთან თანამშრომლობა. არათუ „ჩაშვება“, ტერმინი, რომელიც დამკვიდრდა, პრევენცია, რომ დანაშაულისგან, კრიმინალისგან დავიცვათ საზოგადოება, საკუთარი თავი და ა.შ. თუ ამის გაცნობიერება არ მოხდა, მაშინ ძალიან გაგვიჭირდება.

***– თქვენ ჩვენი საზოგადოების მენტალურ პრობლემაზე საუბრობთ.***

– დიახ, რომელიც უნდა დავძლიოთ. ასევე, სხვა მიმართულებით არის სამუშაოები ჩასატარებელი. თუნდაც, ახალგაზრდების მოზღვავებული ენერგია კრიმინალში რომ არ გადავიდეს, ის, მაგალითად, სპორტისკენ უნდა მივმართოთ და ა.შ. დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში პედალირება სწორედ სპორტზე ხდება. ეს ერთი ასპექტია და კიდევ უამრავი სხვა ასპექტია.

როგორც იტყვიან, დანაშაულს წარმომავლობა არ აქვს. დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ძალიან მაღალია კრიმინალის მაჩვენებელი. მაღალია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

***– ალბათ უფრო ზოგიერთ შტატში.***

– დიახ. სკანდინავიის ქვეყნებში შედარებით ნაკლებია. რა არის ამის მიზეზი? ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხი ალბათ არ არსებობს. უამრავი ფაქტორი განაპირობებს ამ სტატისტიკურ მაჩვენებლებს. სკანდინავიის ზოგიერთი ქვეყნის ციხეში უფრო მეტი პერსონალია, ვიდრე პატიმარი. მიზეზი გასაგებია, ამას ადამიანის ტემპერამენტი, გარემო პირობები და სხვა ბევრი ფაქტორი განაპირობებს. მათ თავში დანაშაულის იდეა არ ჩნდება. თუმცა, იქ სხვა რიგის პრობლემები აწუხებთ ადამიანებს.

ბევრი რამის სწავლა შეიძლება, გადმოღება, თუ როგორ შეიძლება ავეწყოთ ისე, რომ კრიმინალისკენ მიდრეკილები არ ვიყოთ. თუმცა, კანონები ასე მარტივად გადმოსაღები არ არის.

***– ცხადია, ერთ საზოგადოებას შეიძლება მოერგოს, მაგრამ მეორესთან შეიძლება სრულიად საპირისპიროდ იმუშაოს. თუმცა, მაინც სად არის გამოსავალი, დღეს მკაცრი ზომების მიღებაა საჭირო?***

– ერთი, რაც უნდა აღვნიშნო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ბევრისგან განსხვავებით, გახარია არის ღია და ის აღიარებს პრობლემას. ეს უკვე არის წინ გადადგმული ნაბიჯი. ეს ნამდვილად არის პოზიტიური, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ დანაშაულთან ბრძოლის საბჭოთა ტრადიცია უნდა შევცვალოთ. ეს, იცით, როგორ არის? – როგორც ნარკომანიას ვებრძვით ასევე საბჭოთა ტრადიციით. არ შეიძლება, ნარკომანიას მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო ებრძოლოს, რადგან ნარკომანია მთელი საზოგადოების პრობლემაა.

ასევეა კრიმინალიც. არ შეიძლება, კრიმინალს, ძალადობას, დანაშაულს მხოლოდ ერთი რომელიმე უწყება ებრძოდეს. კომპლექსური მიდგომაა საჭირო. რასაკვირველია, შინაგან საქმეთა სამინისტროს წილ პასუხისგებაზე საუბარი აქ არც არის. ეს პასუხისმგებლობა არის და ძალიან მაღალ დონეზე უნდა შესრულდეს. მე ამ შემთხვევაში ვსაუბრობ სხვა დონის პასუხისმგებლობაზე, ვსაუბრობ საზოგადოების მენტალიტეტზე, ოჯახზე, სკოლაზე და ა.შ. სადაც პრობლემები ნამდვილად გვაქვს. ამიტომ, თუ პრობლემას კომპლექსურად არ მივუდგებით, შეიძლება ცოტა ხნით, დროებით შევაჩეროთ, მაგრამ ის აუცილებლად იფეთქებს. მე მაინც მგონია, რომ პრევენციული ღონისძიებების გატარება ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს, მაგრამ პრობლემა, ჩემი აზრით, უფრო სიღრმისეულია, რაზეც ვისაუბრეთ.

# ზვიად კუპრავა: „ოცნების“ ხელისუფლებამ ქართველი ოფიცერი რუსი გენერლის გადმობირების გამო დააკავა“

## რას სთხოვდა ირაკლი ალასანია კობა თოდუას

შორენა მარსაგიშვილი



რამდენიმე წლის წინ „ოცნების“ ხელისუფლებამ დიდი ზარ-ზეიმით გვამცნო თავდაცვის სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილე კობა თოდუას დაკავების შესახებ.

კობა თოდუა 2013 წელს სამეგრელოში, საიდუმლო სამალავებში წამების კადრების აღმოჩენის შემდეგ დააკავეს. მისი ადვოკატი ირაკლი ნარმანია (დავით ნარმანიას ძმა) აცხადებდა, რომ თოდუა დანაშაულის ადგილზე არ ყოფილა და ამის დამადასტურებელი ალიბიც არსებობდა.

ადვოკატის თქმით, თოდუა დანაშაულის ჩადენის დროს თბილისში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმს ესწრებოდა, დანაშაული კი ზუგდიდში მოხდა.

ირაკლი ნარმანიას განმარტებითვე, საქმის მასალებში დაზარალებულები თოდუას დანაშაულში მონაწილეობაზე არ საუბრობენ. ადვოკატის ინფორმაციით, კობა თოდუას წინააღმდეგ არსებობს 3 პოლიციელის ჩვენება, რომლებიც ასევე ამბობენ, რომ თავისუფლებააღკვეთილების წამების ადგილზე იმყოფებოდნენ.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა მიიჩნევს, რომ კობა თოდუა რუსების მოთხოვნით დააკავეს.

ამ დღეებში ციხეში მყოფი თოდუა კუპრავას ტელეფონით დაუკავშირდა და უამბო, როგორ სთხოვდა მას „ოცნების“ ხელისუფლება ქვეყნის დატოვებას.

– კობა თოდუა მუშაობდა აფხაზეთის მიმართულებით და მან ერთი რუსი გენერლის გადმობირებაც შეძლო, რომელიც ჩვენს სპეცსამსახურებს ინფორმაციებს აწვდიდა. ეს გენერალი რუსებმა დააკავეს და ის დღემდე იხდის სასჯელს. რუსებს თოდუას ჯინიც სჭირდათ და „ქართულ ოცნებას“ მისი განეიტრალება მოსთხოვეს.

როგორც თოდუამ სატელეფონო საუბარში მითხრა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მან ისევ გააგრძელა თავდაცვის სამინისტროში მუშაობა. ერთ დღეს ის დაიბარა კახა ქემოკლიძემ, რომელიც დღეს სუსის ანალიტიკური სამსახურის უფროსია და ქვეყნიდან წასვლა მოსთხოვა. ქემოკლიძემ მას სამსახურიდან წასვლაც ურჩია.

კობა თოდუამ ქვეყნის დატოვებაზე უარი განაცხადა. ცოტა ხანში ის უკვე მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ დაიბარა და იმავეს გაკეთება მოსთხოვა, რისიც ქემოკლიძემ, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში კუპრავა.

მისი თქმით, „ოცნების“ მაღალჩინოსნებს თოდუასთვის ქვეყნისა და სამსახურის დატოვება კატეგორიულად არ მოუთხოვიათ.

– ეს იყო უფრო კეთილი რჩევა. მაღალჩინოსნებმა თოდუას უთხრეს, რომ რუსეთი მის განეიტრალებას ითხოვდა და ქვეყნიდან წასვლით თავს გადაირჩენდა, – აღნიშნავს სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოსკოვმა მისი განეიტრალების საკითხი საქართველოში ხელისუფლების შეცვლიდან რამდენიმე დღეში დააყენა.

– საქართველოში ხელისუფლება 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეიცვალა, 11 ოქტომბერს კი ჟენევის მოლაპარაკებაზე კობა თოდუას განეიტრალების საკითხი ოფიციალურად დადგა, – ამბობს კუპრავა.

მისივე თქმით, ეს მოთხოვნა აფხაზურმა მხარემ დააყენა. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ სოხუმმა მოსკოვის პოზიცია გაახმოვანა.

რუსების მიერ წაქეზებული აფხაზები რომ კობა თოდუას გადაცემას ითხოვდნენ, ეს ოფიციალურ დოკუმენტშიც არის დაფიქსირებული.

ამის გარდა, იმავე პერიოდში ინტერნეტში გამოჩნდა ფილმი საქართველოს სპეცსამსახურის თანამშრომლების საქმიანობის შესახებ. კუპრავას



თქმით, ფილმი ნახევარსაათიანია. ამ თემაზე აქტიურად წერდა რუსული და აფხაზური პრესაც.

ოფიციალურ დოკუმენტში რამდენიმე საინტერესო დეტალი წერია.

– აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის შეშფოთებას აფხაზეთში, გალის რაიონში საქართველოს სპეცსამსახურების მხრიდან მიმდინარე ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამგვა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნების“ ნაწილი ბოკერიას გუნდთან კოალიციას ქმნის“

## გიორგი ახვლედიანი: „კალაძის ფრთა პარლამენტში კვირიკაშვილის ინიციატივებს ბლოკავდა“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ დგას „ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის უკან, რატომ ჩაერთო დაპირისპირებაში გიორგი კვირიკაშვილი, რატომ ალაპარაკდნენ პარლამენტში სპიკერის იმპიჩმენტზე, ვის მხარეს დაიჭერს ივანიშვილი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დემოკრატიული მოძრაობას“ ერთ-ერთი ლიდერი, **გიორგი ახვლედიანი** ესაუბრება.

***– „ოცნების“ ნაწილი გუნდში არსებულ დაპირისპირებას ადასტურებს. ლიდერები უთანხმოებას კატეგორიულად გამორიცხავენ. არის ვერსიაც, რომ დაპირისპირების თემამ არსებული პრობლემების გადასაფარად წამოიწია. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე – მართლა დაპირისპირებული არიან თუ რაღაცის გადაფარვას ცდილობენ?***

– მმართველ გუნდში სერიოზული დაპირისპირებაა, ეს იმდენად მძაფრად გამოვიდა სააშკარაოზე, რომ უკვე ვეღარ მალავენ. „ოცნების“ შემადგენლობას თუ გავითვალისწინებთ, ეს დაპირისპირება მოსალოდნელიც იყო. ეს ძალა 2012 წელს, ჯერ კიდევ როგორც კოალიცია, იყო ეკლექტური. რაც ქვეყნის განვითარებას სერიოზულად უშლიდა ხელს და მთელი ოთხი წელი სტაგნაციაში მაგიტომ ვიყავით.

2016 წელს „ოცნებამ“ მარტომ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და ახლა თავად პარტია აღმოჩნდა ეკლექტური. ერთ მხარეს არიან კახა კალაძის მოყვანილი ახალგაზრდა ლიბერალები, ხოლო მეორე მხარეს „ოცნების“ დამფუძნებელი ხალხი, რომლებიც ნაციონალების რადიკალურ ოპოზიციას წარმოადგენდნენ.

მათ შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. მათ ერთმანეთის იდეოლოგია და მსოფლმხედველობა არ ესმით. ლიბერალების ფრთა არასამთავრობოებიდან მოდის და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ნაციონალების დროს არის დაფრთიანებული. „ოცნების“ დამფუძნებლები უფრო კონსერვატიულად არიან განწყობილი.

მოხდა ისე, რომ ლიბერალებს მიეცა პარლამენტის მართვის უფლება. მათ თავის მხრივ დაიწყეს ძველების ჩაჩოჩება და მათი მართვა. რაც „ოცნების“ დამფუძნებლებს დიდად არ მოეწონათ. ეს უკმაყოფილება ნელ-ნელა გროვდებოდა და ერთ დღეს იფეთქა.

***– აქამდე რატომ ითმენდნენ ან ახლა რატომ გადაწყვიტეს პოზიციის დაფიქსირება?***

– მათი უკმაყოფილების შემაკავებელი მთავარი ფაქტორი უმრავლესობაში ყოფნის სურვილი იყო. ძალიან რთულია საპარლამენტო უმრავლესობიდან წამოსვლა. ეს ძალიან ბევრ პრივილეგიასა და კომფორტზე უარის თქმას ნიშნავს. მოკლედ რომ ვთქვათ, უმრავლესობიდან როცა მოდიხარ, კარგ ცხოვრებაზე უნდა თქვა უარი. ამის გაკეთება არც ისე იოლია.

ასე ითმენდნენ, ითმენდნენ, მაგრამ შემდეგ კონფრონტაცია იქამდე მივიდა რომ მისი დამალვა შეუძლებელი გახდა. ნინია კაკაბაძის არჩევა და ბოკერიას გუნდთან ერთად რეზოლუციის მიღება, მხოლოდ საბაბი იყო. ამასთან ძალიან კარგად მესმის ძველი მეოცნებეების – მათთვის მართლაც კატეგორიულად მიუღებელია „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად რამეზე საერთო ხელმოწერის დაფიქსირება.

ამ უკმაყოფილებამ არსებული დაპირისპირება სააშკარაოზე გამოიტანა. რაც მთავარია, ეს პარლამენტის კულუარებს გასცდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ უკვე „ოცნების“ ზედა ეშელონებშია დაპირისპირება. ქვედა ეშელონებში ხმალამოღებული იბრძვიან.

***– ზედა ეშელონებში გიორგი კვირიკაშვილის და კახა კალაძის დაპირისპირებას გულისხმობთ?***

– ყველამ კარგად ვიცოდით, რომ კობახიძე, მდინარაძე, თალაკვაძე, ჩუგოშვილი – ბოკერიას დაფრთიანებული ახალგაზრდები – დღეს კახა კალაძის ორბიტაზე არიან. მან მოიყვანა ისინი პარტიაშიც და საპარლამენტო სიაშიც მან ჩაწერა.

***– წლების წინ თავად კალაძეც ნაციონალებთან დაახლოებული კაცი იყო.***

– 2008 წლამდე კალაძე მათთან იყო ახლოს. ახლა ეგ იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც ის, რომ მისი მოყვანილი ხალხი გამოიკვეთა როგორც გუნდი. რაც შეეხება ძველებს, აქამდე მათი ზურგი გამოკვეთილად არ ჩანდა. ისიც კი არ ვიცოდით, არსებობდა თუ არა ეგეთი ზურგი საერთოდ.

მას შემდეგ, რაც კონსერვატიულმა ნაწილმა ძალიან აშკარად წარმოაჩინა გიორგი კვირიკაშვილი, ამან გააჩინა სერიოზული წინაპირობა იმის სათქმელად, რომ მათ უკან პრემიერი დგას.



რამდენიმე დღის წინ ვნახეთ კვირიკაშვილის და პარლამენტის თავმჯდომარის მიმოწერით დაპირისპირება. საიდანაც აშკარად ჩანს, რომ პარლამენტში მთავრობის მეთაურის ინიციატივების დაბლოკვა ხდება. ძველებმა ღიად თქვეს, რომ რაკი ლიბერალური ფრთა პრემიერის ინიციატივებს არ ითვალისწინებს, ეს სპიკერის იმპიჩმენტით უნდა დასრულდეს. რაკი იმპიჩმენტზეც დაიწყეს საუბარი, ეს ნიშნავს, რომ ძალიან სერიოზულად არის საქმე – ეს ორი გუნდი უკვე ძირეულად არის გაყოფილი.

კალაძის გუნდი თავიდანვე გამოკვეთილი იყო, მათ თავიდანვე ჰქონდათ ამბიციები. კვირიკაშვილის გუნდი ახლა იკვეთება.

მთავრობის მეთაური ბოლო თვის განმავლობაში მუდმივად თანამდებობიდან გაშვების რეჟიმში ცხოვრობდა და მუშაობდა. როგორც ჩანს, ამის თავიდან ასაცილებლად მან კარგად გამოიყენა „ოცნებაში“ არსებული უკმაყოფილება – ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარის კულუარული ლიდერი გახდა.

ამან კვირიკაშვილის გარკვეული წონა შესძინა. აქამდე ის იყო მხოლოდ ფიგურა, რომელიც ივანიშვილმა დანიშნა, თავის დავალებებს ასრულებინებს და როცა უნდა, მაშინ გაუშვებს იქედან. რეალურად რომ ვთქვათ, დაპირისპირება ძირითადად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მიდის.

2020 წელს გადის „ქართული ოცნების“ მმართველობის ორი პერიოდი. საქართველოში არასდროს არ მომხდარა, რომ რომელიმე ძალას ორ ვადაზე მეტი ხნით ემართა ქვეყანა. ეს ვერც შევარდნაძემ მოახერხა და ვერც სააკაშვილმა. რაც მხოლოდ მათი ანდა ქართველი ამომრჩევლის დამსახურება არ არის. ეს ძალიან სერიოზული საერთაშორისო ზეწოლის შედეგად მოხდა. ყველაზე მეტად ამერიკელებმა იაქტიურეს. ამერიკაში პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შორის დაუწერელი შეთანხმება არსებობს – პრეზიდენტი უნდა იყოს ორი ვადით.

ამერიკელები ამ სტანდარტის დამკვიდრებას საქართველოშიც ცდილობენ, რასაც თავისი ლოგიკა აქვს – ორი ვადით იყოს ესა თუ ის ხელისუფლება, თუ რამის გაკეთება შეუძლიათ და უნდათ, ეს პერიოდი ამისთვის სავსებით საკმარისია. მესამე ვადა ხელისუფლების უზურპაციის სერიოზულ ნიშნებს შეიცავს.

2003 წელს საქართველოში ჯეიმს ბეიკერი იყო ჩამოსული, რომელიც შევარდნაძეს უმტკიცებდა, რომ მესამე ვადაზე არ უნდა წასულიყო და საარჩევნო კოდექსის შეცვლას ურჩევდა.

დადგა თუ არა 2012 წელი, ჰილარი კლინტონი და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველდღე ახალ-ახალ განცხადებებს აკეთებდნენ, რომ არ დაუშვებდნენ საქართველოში ძალაუფლების შენარჩუნებას კონსტიტუციის შენარჩუნების ხარჯზე. სააკაშვილმა კონსტიტუცია მაინც შეცვალა და შეეცადა მესამედ პრემიერის რანგში მოსულიყო ქვეყნის სათავეში.

დასავლეთი მის ამ მცდელობას ძალიან მკაცრად მიუდგა და აიძულა, რომ ძალაუფლება მშვიდად გადაეცა ოპოზიციისთვის. შევარდნაძისგან განსხვავებით, სააკაშვილმა მეტი ჭკუა გამოიჩინა.



2020 წელს ზუსტად ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდება „ქართული ოცნება“ – მათ მესამე ვადით ხელისუფლებაში არავინ აღარ მოუშვებს. ეს პირდაპირ უზურპაციად შეფასდება და დასავლეთს ძალიან მწვავე რეაქცია ექნება.

ამას კარგად აცნობიერებენ მმართველ გუნდში და ახალი პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბებისთვის ემზადებიან. ამ პარტიას 2020 წელს „ოცნება“ აღარ ერქმევა, მას შესაძლოა „ქართული სიზმარი“ დაარქვან. მთავარი ისაა, რომ ეს პარტია აუცილებლად ბიძინა ივანიშვილის ხელდასმული და მართული უნდა იყოს. სწორედ ამისთვის ამზადებენ გიგა ბოკერიას გუნდს – „ევროპულ საქართველოს“.

***– ეს პარტია იქნება 2020 წელს ივანიშვილის დასაყრდენი?***

– ბოკერიას პარტია ან 2020 წლამდე უნდა შევიდეს კოალიციაში „ოცნებიდან“ წარმოქმნილ ახალ გუნდთან, ან საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნის „ოცნების“ ახალ პარტიასთან კოალიციას. მერე ერთად შექმნიან კოალიციურ მთავრობას და მსოფლიოს დაარწმუნებენ იმაში, რომ ხელისუფლების სათავეში ახალი ძალა მოვიდა.

მთავარი შინაარსი ისაა, რომ ამ რაღაც ახალსაც ივანიშვილი უნდა აკონტროლებდეს და „ევროპულ საქართველოსაც“.

ამით ყოფილი პრემიერი არაფერს არ კარგავს. შესაბამისად ვინ ვის შეუერთდება, ეს მხოლოდ პოლიტიკური ტაქტიკის საგანია. მთავარია ყველაფერს ის აკონტროლებდეს.

აი, სწორედ ამ ახალი კონფიგურაციისთვის ბრძოლა მიმდინარეობს „ოცნებაში“. ეს ბრძოლა შარშან დეკემბერში დაიწყო, მაგრამ სააშკარაოზე ახლა გამოვიდა.



### ვისკენ გადაიხრება ივანიშვილი

***– შარშან დეკემბერში რა მოხდა?***

– საპარლამენტო ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ გამოეყო ადამიანების ჯგუფი და მათ ორი ახალი ფრაქცია შექმნეს.

***– ბიძინა გეგიძის და გოჩა ენუქიძის ფრაქციებზეა საუბარი?***

– მაგ ფრაქციებზე ვსაუბრობ. ბრძოლა „ოცნებაში“ მაშინ დაიწყო. მძაფრი ხასიათი ახლა მიიღო. ეს დაპირისპირება კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს. ყველა შეეცდება, რომ მაგიდა თავის მხარეს გადაქაჩოს. ამაში ჩართულები არიან კალაძეც და კვირიკაშვილიც.

***– ვის მხარეს გადაიხრება ყოფილი პრემიერი. ამ ეტაპზე ის არც ერთ ჯგუფს არ უჭერს მხარს.***

– ივანიშვილი ასე მარტივად არ დააფიქსირებს თავის პოზიციას და თავის გუნდში დამატებით განხეთქილებას არ შეიტანს. დღეს ამის აუცილებლობა არც არის. ყოფილმა პრემიერმა ჯერ ის უნდა დაამტკიცოს, რომ არაფერში არ ერევა. მან ახლა რომელიმე მხარის პოზიცია რომ დაიკავოს, „ოცნებაში“ სერიოზული აფეთქება მოხდება.

ორივე გუნდს – ძველებსაც და ახლებსაც, აქვთ იმის იმედი, რომ ივანიშვილი მათ მხარეს დაიჭერს.

***– თქვენი აზრით, ვის მიანიჭებს ყოფილი პრემიერი უპირატესობას?***

– ეს არ ვიცი, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კი ის რომელიმე მხარეს მიანიჭებს უპირატესობას, „ოცნება“ ეგრევე დაინგრევა. ახლა მხოლოდ იმიტომ არ იშლებიან, რომ იმედი აქვთ, შიდა ბრძოლაში რომელიმე გაიმარჯვებს.

***– გამარჯვების მეტი შანსი ძველებს უფრო აქვთ თუ ახლებს? ხალხს არც ერთი აღარ მოსწონს.***

– ელექტორალური თვალსაზრისით „ოცნებას“ ძალიან მძიმედ აქვს საქმე. ამაზე არჩევნების შედეგებიც მეტყველებს. მათ უმრავლესობა მხოლოდ მაჟორიტარების ხარჯზე მოიპოვეს.

ახლა მთავარი პრობლემა ეს არ არის. მთავარი პრობლემაა, მოახერხებს თუ არა ოპოზიცია გაერთიანებას. „ოცნების“ მთავარი კოზირი ოპოზიციის დაქსაქსულობაა. იმედი აქვთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებშიც ცალ-ცალკე მივიღებთ მონაწილეობას და ერთმანეთს წავართმევთ ხმებს. ამით მმართველი გუნდი იხეირებს. კიდევ ვიმეორებ, „ოცნება“ მძიმე დღეშია, მაგრამ დღეს ოპოზიცია მათ წისქვილზე ასხამს წყალს.

***– იყო საუბარი, რომ ოპოზიცია ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელებას აპირებდა. შეძლებთ ამის გაკეთებას?***

– მაისის შუა რიცხვებისთვის გაირკვევა, გვაქვს თუ არა ერთიანი კანდიდატის დასახელების შანსი. ეს რთული პროცესია, მაგრამ მინდა მჯეროდეს, რომ საბოლოოდ სალი აზრი გაიმარჯვებს და ერთიანი კანდიდატით წარვდგებით საპრეზიდენტო არჩევნებზე. იმასაც გეტყვით, რომ ასე ახლოს ერთიანი კანდიდატურის დასახელებასთან ოპოზიცია არასდროს ყოფილა.

***– ეს ალბათ იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ ვინ იქნება „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი.***

– ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის შერჩევაზე არანაირად არ უნდა იმოქმედოს იმან, თუ ვინ იქნება მმართველი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატი. ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვის დაასახელებენ კანდიდატად – მამუკა მდინარაძეს, სალომე ზურაბიშვილს თუ თეა წულუკიანს.

მათ კანდიდატს მხოლოდ მაშინ ექნება მნიშვნელობა, თუ ივანიშვილი გადაწყვეტს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, რაც, ჩემი აზრით, გამორიცხულია.

***– პრეზიდენტობის კანდიდატებზე ვსაუბრობთ და არის ვერსია, რომ კალაძე და კვირიკაშვილი სწორედ ამის გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამბობენ, რომ ორივეს სურს პრეზიდენტობა?***

– გიორგი კვირიკაშვილს შესაძლოა უნდა პრეზიდენტობა, მაგრამ კალაძეს ეს არაფერში არ სჭირდება. 2021 წლამდე მას არჩევითი თანამდებობა გარანტირებული აქვს. პრეზიდენტს არანაირი უფლება არა აქვს და ვერც ბიუჯეტს განკარგავს. ამას 800 მილიონიანი ბიუჯეტი და საკმაოდ სერიოზული ძალაუფლება აქვს. მათი დაპირისპირება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

# სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლებამ ფაროსანები მომისია“

ნონა ცაბაძე

როდის იწყებს ქართული მარში შიმშილობას, რატომ გადაწყვიტა სანდრო ბრეგაძემ, მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში, ვისთან ერთიანდება ქართული მარში? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** პასუხობს.

***– ბატონო სანდრო, დაანონსდა, რომ ქართული მარშის წევრები შიმშილობას იწყებთ. როდიდან იწყებთ ამ აქციას?***

– 30 აპრილს ციხეში იწყებს შიმშილობას 7 პოლიტიკური პატიმარი. ქართული მარშის ახალგაზრდები იწყებენ შიმშილობას და მეორე დღეს მათ შეუერთდება უკვე ციხის კედლებს გარეთ მხარდამჭერები და ის ადამიანები, რომლებსაც გული შესტკივათ იმ ამაზრზენ და საშინელ ფაქტზე, რასაც ახალგაზრდების უმიზეზოდ დაკავება და დაპატიმრება ჰქვია. იმიტომ, რომ ამ ფაქტზე გაჩერება, ეს იქნება ქართველი საზოგადოების კიდევ ერთი დიდი სირცხვილი. კაცი შვილი ვერ ხსნის, თუ რატომ სხედან ციხეში ადამიანები, რუსთავი 2-ის წამყვანის, გაბუნიას ლანძღვის გამო. როდესაც გაბუნიამ გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენა მთელ ქრისტიანულ სამყაროს, მართლმადიდებელ მრევლს და შეურაცხყო უფალი ჩვენი იესო ქრისტე! ამ ფონზე, მან მიიღო სიტყვიერი ლანძღვა რამდენიმე ახალგაზრდისგან, რომლებიც დღეს სერიოზული სასჯელის მოლოდინში სხედან ციხეში.

***– შიმშილობის აქციას პარლამენტის წინ იწყებთ?***

– რამდენიმე ლოკაცია იქნება. როგორც ამ ეტაპზეა გადაწყვეტილი, ეს არის სახელმწიფო კანცელარია, ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტრო და ეს არის მთავარი პროკურატურა. როგორც ამ ეტაპზეა გადაწყვეტილი, დაკავებულთა მშობლები აპირებენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და პროკურატურასთან შიმშილობის აქციას. ახალგაზრდული ფრთის წევრები – სახელმწიფო კანცელარიასთან. ანუ რამდენიმე ლოკაცია იქნება ამ შემთხვევაში.

***– თავად თქვენ აპირებთ მონაწილეობა მიიღოთ შიმშილობის აქციაში?***

– კი, მე აუცილებლად შევუერთდები ჩემს თანამებრძოლ პოლიტიკურ პატიმრებს, რადგანაც არც ერთ ჩვენთაგანს არანაირი ზნეობრივი და მორალური უფლება არა გვაქვს, რომ არ შევუერთდეთ მათ მიერ წამოწყებულ აქციას. გეტყვით, რომ 1981 წელს, ირლანდიელებმა განახორციელეს შიმშილობის აქცია, რომელიც დღესაც კი ისტორიულ შიმშილობის აქციად ითვლება. მას შეეწირა 10 ირლანდიელი პატრიოტი.

***– მსგავს აქციას გეგმავთ?***

– დიახ, ეს შიმშილობის აქცია იქნება



დაახლოებით ასეთი ტიპის. ეს არ იქნება შიმშილობის აქცია, როდესაც ადამიანებს 3-4 დღეში გული წაუვათ და საავადმყოფოებში გადაიყვანენ.

***– ანუ არ ადგებით მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება თქვენი მოთხოვნები?***

– რა თქმა უნდა! ჩვენ ვიქნებით, გავაგრძელებთ შიმშილობის აქციას მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება მოთხოვნა, რომ ქვეყანაში არ იყვნენ პოლიტიკური პატიმრები და გათავისუფლდნენ ის უდანაშაულო ადამიანები, რომლებიც სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო სხედან ციხეში და ემუქრებათ ხუთ წლამდე პატიმრობა, რაც აბსოლუტური აბსურდია! მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც სიტყვიერ შეურაცხყოფას ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებიდან დაწყებული, პარლამენტარებამდე დამთავრებული, ყოველდღე აყენებენ ერთმანეთს და არა მარტო სიტყვიერს, ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ თაკილობენ და თუნდაც ბოლო თვის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ ფიზიკური შეურაცხყოფის არაერთი მაგალითი. ეს იყო პარლამენტის კედლებში, ეს იყო სახელმწიფო დაწესებულებების კედლებში თუ ქუჩაში და არსად არავინ არ დასჯილა!

***– უნდა დასჯილიყვნენ?***

– მე კი არ ვითხოვ, რომ ისინი დაისაჯონ, მაგრამ საერთოდ არავინ დაუსჯიათ ამის გამო და ქართული მარშის წევრებს კი აბსოლუტურად არაფრის გულისთვის ემუქრებათ ხუთ წლამდე პატიმრობა! მოდით პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს არის პოლიტიკური ტერორი, რომელი ტერორიც დაწყებულია ქართული მარშის წინააღმდეგ და ამ პოლიტიკური ტერორის მთავარი მიზანი არის, რომ ქართული მარში განადგურდეს, რადგანაც ეს ბრძანება და ეს დავალება აქვს მიღებული ხელისუფლების გარკვეულ შტოს. განსაკუთრებით იმ ნაწილს, რომელიც წარმოადგენს ე.წ. სოროსულ ლიბერასტულ დაჯგუფებას.

***– ბატონო სანდრო, მეორე დღეა ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენ იქნებით ქართული მარშის პრეზიდენტობის კანდიდატი. საუბარია, რომ რამდენიმე პარტია და ორგანიზაცია გაერთიანდებაო. ვისთან ერთად აპირებთ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას?***

– პირველ რიგში გეტყვით იმას, რომ არის 4-5 ორგანიზაცია, რომელიც ძალიან მალე თავად გააკეთებს ამის თაობაზე განცხადებას და მე დარწმუნებული ვარ, რომ მათი რიცხვი გაიზრდება. რაც შეეხება ჩემი პრეზიდენტობის კანდიდატობას, ეს შემომთავაზეს ქართული მარშის წევრებმა, ამ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერებმა, მონაწილეობა მიმეღო საპრეზიდენტო არჩევნებში და მეც დავთანხმდი ამას, რადგანაც ეს არის საკმაოდ სერიოზული გამოწვევა და ამავე დროს შესანიშნავი საშუალება იმისა, რომ მთელ ქართულ საზოგადოებას ვანახოთ, თუ ვინ ვინ არის.

***– ამას როგორ აპირებთ?***

– პირველ რიგში, მე საპრეზიდენტო კამპანიას წარვმართავ და დაახლოებით იგივე ტიპის საარჩევნო კამპანია მექნება, რაც ჰქონდა მარი ლეპენს საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნების დროს. რაც ჰქონდათ ევროპულ-ნაციონალისტური მიმართულებების პარტიებს, იგივე ავსტრიაში, იგივე უნგრეთში. სწორედ ასეთი ტიპის საპრეზიდენტო პროგრამის წარდგენას ვაპირებ, რომელიც დამყარებული იქნება ეროვნულ ქართულ ინტერესებზე. ვაცხადებ, რომ მე არ ვიქნები ამერიკის საპრეზიდენტო კანდიდატი, მე არ ვიქნები რუსეთის საპრეზიდენტო კანდიდატი, მე ვიქნები ქართველების საპრეზიდენტო კანდიდატი და მე წარვადგენ საკმაოდ სერიოზულ პროგრამას როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კუთხით! ყველაფერი კი დამყარებული იქნება ეროვნულ იდეოლოგიაზე, რომელი იდეოლოგიაც დღეს არ არსებობს!

***– თქვენ სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ შავი პიარი ამუშავდა ჩემ წინააღმდეგო. რას გულისხმობთ და ვინ დაიწყო ყოველივე ეს?***

– კანდიდატურა დასახელებული არ მქონდა, რომ უკვე მომისიეს ფაროსანები. ფაროსანებს ვუწოდებ მე ამ ადამიანებს. საშა კაცმანმა და ხელისუფლების იმ ლიბერასტულმა და ჭუჭყიანმა ფრთამ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, უკვე დაიწყეს ადამიანების დაქირავება, რომ დაიწყოს შავი პიარი ჩემ წინააღმდეგ. მათ სერიოზულად შეეშინდათ.

***– რისი შეეშინდათ?***

– მე რეალისტი ვარ და მინდა პრიორიტეტი ვთქვა ჩემი საარჩევნო კამპანიის. ჩემი პრიორიტეტი იქნება მხილების პროცესის დაწყება. მე გავაშიშვლებ ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს და ყველა პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას და რომელიც იქნება იმ დამღუპველი იდეოლოგიის, რომელმაც კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა. შეეშინდათ ამის და ფაროსანები მომისიეს. დაყენებული არ მქონდა კანდიდატურა და რამდენიმე წუთში გამოუშვეს ვინმე ბაკურ სვანიძე, რომელიც მერაბიშვილის ყოფილი მილიციონერი და რუსთავი 2-ის მასხარაა. მას დაავალეს ჩემ წინააღმდეგ შავი პიარის დაწყება. ზუსტად ვიცი, ამ ღორს რა მარგალიტიც დაუყარეს, ეს მარგალიტი ლარების სახით არის. მე ასეთ ფაროსანებს ყურადღებას არ მივაქცევ. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ისინი სერიოზულად არიან შეშინებულები, შეშინებულები იმით, რომ მოხდება მათი მხილება!

***– ყველამ კარგად ვიცით, რომ არჩევნებს იგებს დიდი ფული. დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ ოპოზიციას ფინანსები არ აქვს. როგორ აპირებთ საარჩევნოდ თანხების მობილიზებას, საიდან დაფინანსდებით?***

– რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა ყველასთვის. მე გახლდით პარლამენტის წევრი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, შემდეგ ვიყავი მინისტრთა კაბინეტის წევრი, ორი სამინისტროს ხელმძღვანელი და მიუხედავად ამისა, მე ბიუჯეტიდან ფული არ მომიპარავს, ქრთამი არ ამიღია დ აქედან გამომდინარე არ მაქვს ის დიდი ფინანსები, რომ ისეთი თანხები დავხარჯო, როგორსაც დახარჯავს მმართველი გუნდი, ან ნაციონალური მოძრაობა. რადგანაც მათ მოჰპარეს თანხები საქართველოს მოსახლეობას, მე კი არ მომიპარავს. აქ მარტო თანხებში არ არის საქმე.

***– აბა რაშია? არჩევნებს დიდი ფული იგებსო.***

– აქ საქმეა ეროვნულ იდეაში, რომელი ეროვნული იდეაც უნდა გამოვიდეს ასპარეზზე და ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი. სასწორის ერთ მხარეს იქნება ფულისგან გაზულუქებული უიდეო, იდეოლოგიის არმქონე კანდიდატი, ხოლო მეორე მხარეს ქართული იდეა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეა და ხალხმა თავად უნდა გააკეთოს ეს არჩევანი! თუ ხალხი ფულის ტომარას აირჩევს, მერე თავის თავს დააბრალოს ის უკეთურება, რომელ უკეთურებაშიც ის აღმოჩნდება. აქ ერთგვარად საზოგადოების გამოწვევაც არის საპრეზიდენტო კანდიდატების მხრიდან! ეს იქნება არათანაბარი პირობები და უთანასწორო ბრძოლა!

## ზვიად კუპრავა: „ოცნების“ ხელისუფლებამ ქართველი ოფიცერი რუსი გენერლის გადმობირების გამო დააკავა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რი მოქმედებები აფხაზეთის მცხოვრებლების წინააღმდეგ ჩვენი მცხოვრებლების დაშინების ზომა და რესპუბლიკაში დესტაბილიზაციის მცდელობაა, – ასე იწყება ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება.

მიმართვაში წერია, თუ როგორ გადაიბირა აფხაზეთის რამდენიმე მკვიდრი და ერთი რუსი სამხედრო.

რუსი ოფიცრის გვარი არ სახელდება და მას აგენტის მეტსახელით „კოტ“ (კატა) მოიხსენიებენ.

– საქართველოს სპეცსამსახურებთან ჯემიკო ოკუჯავასა და ოთარ ჯღარკავას კონფიდენციალური თანამშრომლობა 2011 წლის თებერვალში დაიწყო. ჯღარკავა და ოკუჯავა გადაბირებული იყვნენ კობა თოდუას მიერ, რომლისგანაც მიიღეს დავალება აფხაზეთის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს სამხედრო მოსამსახურის გადაბირების შესახებ.

შექმნილი აგენტურული ქსელის ძირითადი ამოცანა სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ ინფორმაციის ორგანიზება იყო.

თავისი მუშაობის განმავლობაში აგენტურულმა ქსელმა მოასწრო რუსეთის სასაზღვრო სამსახურის საქმიანობის შესახებ იმ მონაცემების შეგროვება და გადაცემა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენდა, – ვკითხულობთ აფხაზური მხარის განცხადებაში.

ამ მიმართვაში კიდევ ბევრი საინტერესო წერია. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელის აზრით, ყველაზე საინტერესოა ის, რომ მიმართვის ავტორები ქართველ ოფიცერს აფხაზეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას სდებენ ბრალად.

– აფხაზეთის სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ არსებობს. აფხაზეთი არის რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორია. რუსებმა ვერ მოინელეს, რომ კობა თოდუამ მათი გენერალი გადაიბირა. მოსკოვს მასზე ძებნაც კი ჰქონდა გამოცხადებული. საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რუსებმა აფხაზების პირით დააყენეს ჟენევის მოლაპარაკებებში თოდუას საკითხი. ძალიან მალე საქართველოს ხელისუფლების ხელით მისი განეიტრალება მოახერხეს, – ამბობს კუპრავა.

მისი თქმით, თავიდან უნდა მოხდეს კობა თოდუას საქმის გამოძიება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

## ზვიად ქორიძე: „გამოითქვა მოსაზრება, რომ შეწყალების კომისიის შემადგენლობა გაფართოვდეს“



– გამოითქვა მოსაზრება, რომ შეწყალების კომისიის შემადგენლობა გაფართოვდეს.

ამის შესახებ შეწყალების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ პრეზიდენტის წარმომადგენლების, შეწყალების სახელმწიფო კომისიის წევრებისა და ქალთა მიმართ ძალადობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

ქორიძის თქმით, გუშინდელ შეხვედრაზე ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივები გაჟღერდა და შეხვედრები კიდევ გაგრძელდება.

რაც შეეხება კომისიის შემადგენლობის შესაძლო გაფართოებას, ზვიად ქორიძის თქმით, ეს საკითხი შეხვედრაზე განიხილეს. „ეს მოსაზრება გამოითქვა შეხვედრაზე. ჩვენი მხრიდანაც ითქვა, რომ მოხდეს კომისიის შემადგენლობის გაფართოება და იმ ადამიანების მოწვევა კომისიაში, რომლებიც შეიძლება კიდევ უფრო მეტად წაადგნენ ამ სტანდარტის აწევას. ეს ითქვა ამ შეხვედრაზეც, მაგრამ ამ შეხვედრამდეც იყო ამაზე საუბარი, მათ შორის პრეზიდენტთან“, – განაცხადა ზვიად ქორიძემ.

## სოფელ ფლავისმანის განაპირას შეიარაღებულმა ე.წ. მესაზღვრეებმა ადგილობრივი თამაზ ილურიძე დააკავეს




ოკუპირებული ტერიტორიის პერიმეტრზე, სოფელ ფლავისმანის განაპირას, შეიარაღებულმა ე.წ. მესაზღვრეებმა ადგილობრივი მცხოვრები თამაზ ილურიძე დააკავეს.

ილურიძე თანასოფლელთან, გელა გიუნაშვილთან ერთად პირუტყვს მწყემსავდა, როდესაც შეიარაღებული პირები გამოჩნდნენ. გიუნაშვილმა გაქცევა მოახერხა და მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა.

მისი თქმით, ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ პირებს, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღების გარდა, ყუმბარმტყორცნიც ჰქონდათ. გიუნაშვილი ამ წუთებში პოლიციაში დაკითხვაზე იმყოფება. თამაზ ილურიძე კი, სავარაუდოდ, ცხინვალის მილიციის იზოლატორში გადაიყვანეს.

ილურიძე ფლავისმანში მარტო ცხოვრობს. შესაბამისად, მის ახლობლებს არავინ დაჰკავშირებია. სოფელში ამბობენ, რომ ილურიძე და გიუნაშვილი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და დე ფაქტო რეჟიმის კონტროლირებად ტერიტორიაზე არ გადასულან.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში განუცხადეს, საქართველოს მოქალაქე ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით არის დაკავებული. ამოქმედებულია „ცხელი ხაზი“ და ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

# მირიან მირიანაშვილი: „გაჩნდა ახალი გარემოებები ბიძინა ივანიშვილის გასაპრეზიდენტებლად“

## „რუსეთი თმობს საკონტროლო პაკეტს საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში“

მარიამ მჭედლიშვილი

რას მოუტანს საქართველოს აშშ-ის გაძლიერება ახლო აღმოსავლეთში? რას დათმობს რუსეთი? რატომ შეიძლება დათანხმდეს ვაშინგტონი ბიძინა ივანიშვილის პრეზიდენტობას? ან თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

**მირიან მირიანაშვილი:**

– ამერიკის გაძლიერება სირიასა და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში უეჭველად იმოქმედებს საქართველოზე. კავკასია ამ რთული დიდი რეგიონის გეოგრაფიული ერთეულია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის ავიადარტყმები, რომელიც აშშ-მ განახორციელა.

***– რასაც დასავლელი ექსპერტების უმრავლესობა აკრიტიკებს. ითვლება, რომ სირიის რეჟიმი ამით არ მორჯულდება.***

– ჯერ ერთი, ამ გადაწყვეტილებით აშშ-მ დარტყმა მიაყენა ასადის რეჟიმს. მეორე – მთავარი ისაა, რომ ამერიკა აძლიერებს თავის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. ეს ერთჯერადი მოქმედებით არ გამოიხატება და მომავალშიც გაგრძელდება. ვაშინგტონი ამჟამად აქტიურია ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და შორეულ აღმოსავლეთში. ყველაზე ქმედითი კი – ახლო აღმოსავლეთში. ამ ავიადარტყმების შემდეგ საქართველოში ბევრი ელოდა, რომ ამას მოჰყვებოდა რუსეთის საპასუხო ქმედებები და გაჩაღდებოდა მსოფლიო ომი. ეს ტყუილი მოლოდინი თუ შიში იყო. ჩვენში ზოგს სჯერა ლეგენდისა რუსეთის ძლევამოსილების შესახებ. კრემლი უძლეველი არც ადრე ყოფილა. ვაშინგტონის მიერ სირიაში მოწყობილი იერიშის შემდეგ რუსეთის გეოპოლიტიკური იმიჯი მეტად შეილახა. აშშ-ის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ხისტი და მკაფიოა. ეს საქართველოსაც ეხება.

***– რა მოხდება საქართველოში?***

– რუსეთი რომ საქართველოდან თანდათან გასვლას დაიწყებდა, ამაზე ადრეც მისაუბრია. ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ ძლიერდება აშშ-ის რბილი ძალის მოქმედება, რასაც ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ. საქართველო, ამერიკის დაუხმარებლად, რუსეთის კლანჭებიდან თავს ვერ დააღწევს. თვალშისაცემია რუსეთის პოლიტიკური ლობის მცდელობა, მოერგოს ახალ სიტუაციას.

***– რუსეთი მზადაა, დათმობაზე წავიდეს?***

– რუსეთი იძულებულია, საქართველოში უკან დაიხიოს და დათმოს საკონტროლო პაკეტი პოლიტიკასა და ეკონომიკაში.

***– კერძოდ?***

– რუსეთი განაგებს საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს. მათ შორის არიან ის პარტიები, რომლებსაც დასავლურ ორიენტაციაზე აქვთ პრეტენზია. ამ პარტიებს უკვე შეექმნათ დასავლეთიდან დაბრკოლებები. რუსეთი გველეშაპივით აზის საქართველოს ეკონომიკას. სააკაშვილის დროს დამთავრდა გადაფორმებები და გადანაწილებები. ამის შედეგად ჩრდილოელი დამპყრობელი დაეპატრონა საქართველოს საშუალო და მსხვილ ბიზნესს, შირმად კი აიფარა ქართული გვარები. წამლის ბიზნესი, მაგალითად, პუტინის მრჩევლის, ვლადისლავ სურკოვისაა. ისაა ამ ბიზნესის ნამდვილი პატრონი საქართველოში. აქ, საინტერესოა, ვინ შეიძლება ითამაშოს როლი რუსეთის ეკონომიკური კონტროლის დემონტაჟში.



***– ვინ არის ასეთი ფიგურა?***

– ბიძინა ივანიშვილი. გაჩნდა ახალი გარემოებები ბიძინა ივანიშვილის გასაპრეზიდენტებლად.

***– ადრე განაცხადეთ, რომ ამერიკელები მხარს არ უჭერენ რუსეთისთვის მისაღებ არც ერთ სავარაუდო კანდიდატს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. მაშინ ივანიშვილის გვარმაც გაიელვა.***

– ეს ასე იყო. ახლა სიტუაცია შებრუნდა. თუ ბიძინა ივანიშვილი თანახმა იქნება, რომ თავისი წვლილი შეიტანოს რუსეთის პოლიტიკის დამცრობაში, ამერიკელები უარს არ იტყვიან მისი კანდიდატურის მხარდაჭერაზე. რუსეთი და აშშ ამ საკითხზე კულუარებში ლაპარაკობენ.

***– ბიძინა ივანიშვილს ხალხის მხარდაჭერა განაღდებული აქვს?***

– მიუხედავად ყველაფრისა, ხალხის მხარდაჭერა ექნება. საზოგადოების უდიდესი ნაწილი მის საქმიანობას ნეგატიურად აფასებს. ჩვენ ეკონომიკური ჩავარდნა და სიდუხჭირის პიკი გვაქვს. პირადად მე ბიძინა ივანიშვილის მითითებით ამეკრძალა ტელევიზიებში გამოსვლა. მაინც ვაღიარებ მის დამსახურებას: 2012 წლიდან საქართველოში შეწყდა მასობრივი დაჭერები, წამება და ქონების მასობრივად ჩამორთმევა. სააკაშვილის დროს მოსახლეობის ორ მესამედს ქონება ჰქონდა წართმეული.

***– რუსეთი თუ საქართველოში ბერკეტებს დათმობს, ეკონომიკური სიტუაცია გამოსწორდება?***

– რასაკვირველია. თუ მოგება ქვეყანას დარჩება, ამას ხალხი იგრძნობს და შვებით ამოისუნთქებს. ეს ეხება ოქროს წარმოებას, სატრანზიტო კვანძს და ყველა სხვა დარგს, რომელიც ამჟამად რუსეთის გამგებლობაშია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბენეფიციარი რუსეთია.

***– საპრეზიდენტო არჩევნებს დავუბრუნდეთ. თუ ბიძინა ივანიშვილი უარზე არ დადგა, მას, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატს, საგარეო მხარდაჭერა გარანტირებული აქვს?***

– ამაზე კულუარული მსჯელობა მიდის. ბიძინა ივანიშვილს შეუძლია სათავეში ჩაუდგეს გარკვეულ პროცესს. ეს პროცესი გულისხმობს საქართველოს გარკვეული სეგმენტების რუსეთის კონტროლიდან გამოყვანას. ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურამ ამ მხრივ მიმზიდველობა შეიძინა.

# მამუკა ბახტაძესთან მორიგ შეხვედრამდე ბანკირები სებ-ში, მურთაზ კიკორიასთან შეიკრიბებიან



– ჭარბვალიანობის კოეფიციენტი იმ ზღვარზე არ არის, რომ მომხმარებელს ან ეკონომიკას საფრთხე შეუქმნას, – ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი სამომხმარებლო სექტორის ჭარბვალიანობას გულისხმობს.

ზურაბ გვასალიამ სებ-ის ვიცეპრეზიდენტ მურთაზ კიკორიასთან შეხვედრა დააანონსა, სადაც სესხების გაპრობლემების რისკები უნდა გააანალიზონ, რომ შემდეგ ფინანსთა მინისტრს დასაბუთებული ანალიზი წარუდგინონ, პრობლემური მსესხებლის რაოდენობის ზრდის რისკი არსებობს თუ არა. ამასთან, გაარკვიონ, ფინანსთა მინისტრის დაანონსებული შეურიგებელი ბრძოლა ჭარბვალიანობასთან შექმნის თუ არა დაკრედიტების შეზღუდვის რისკს და ბაზარზე როგორ აისახება. სრულყოფილი ანალიზის შესაძლებლობას ემსახურება ბეგარაშემცირებული მცირე ბიზნესის საგადასახადო რეფორმა.

ასოციაციის პრეზიდენტი აცხადებს, რომ 1%-მდე შემცირებული გადასახადი წვრილ მეწარმეს, მათ შორის ტაქსის მძღოლს დარეგისტრირებისკენ უბიძგებს, შედეგად მისი შემოსავალი ჩრდილიდან გამოვა. ასე უნდა გაფართოვდეს პოტენციური მსესხებლის ბაზა, რომლითაც საბანკო სექტორი და სხვა გამსესხებელი საფინანსო ინსტიტუტი ისარგებლებს.

საბოლოო მიზანი კი ჭარბვალიანობის პრობლემის გადაწყვეტაა, რომ მომავალში მსგავსი გამოწვევის წინაშე არცერთი მოქალაქე არ დადგეს.

# გიორგი გახარია: „ბანკები ზოგიერთ შემთხვევაში მუხრუჭია, ზოგიერთში კი, პირიქით, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა“



ვიცეპრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას აზრით, ბანკები ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში არის მუხრუჭი, ზოგიერთში კი, პირიქით, ეკონომიკის განვითარების საკმაოდ სერიოზული მამოძრავებელი ძალაა.

– საქართველოში უნდა მოიხსნას ეკონომიკური განვითარების ყველა სახის მუხრუჭი, რა სახისაც იდენტიფიცირებული იქნება. ჩვენი ძირითადი პრობლემა გახლავთ იმაში, რომ არა მხოლოდ ეკონომიკური გადმოსახედიდან, არამედ მათ შორის, უსაფრთხოების გადმოსახედიდანაც, ეს ქვეყანა უნდა გადავაქციოთ გამოწვევების ქვეყნიდან შესაძლებლობების ქვეყნად. ყველას კარგად გვესმის, რომ დამწყები კომპანიებისთვის კაპიტალზე წვდომა არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა მათი განვითარებისთვის, შესაბამისად, ვფიქრობ, რომ იქ, სადაც შესაძლებელია ამ პრობლემის მოგვარება, უნდა მოვაგვაროთ, – განაცხადა გახარიამ ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძის იმ განცხადების კომენტირებისას, რომ ბანკები არ უნდა იყოს ეკონომიკის განვითარების მუხრუჭი.

კითხვაზე, არის თუ არა ბანკები მუხრუჭი დღეს, გახარია პასუხობს, „ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში – არის, ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში პირიქით – საკმაოდ სერიოზული მამოძრავებელი ძალაა ეკონომიკის განვითარების.

– აქ ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება საუბარი. რა თქმა უნდა, მცირე და საშუალო ბიზნესის კომპონენტში აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ საჭიროა, უფრო მეტი ყურადღება, განსაკუთრებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, – განაცხადა გახარიამ.

# გია ხუხაშვილი: „გიორგი კვირიკაშვილი უფრო ბანკების ლობისტია. ის ახლაც გაჩუმებულია“



– გიორგი კვირიკაშვილი უფრო ბანკების ლობისტია და ახლაც გაჩუმებულია, არ ამბობს, რომ ფინანსთა მინისტრს ეთანხმება. ეჭვი მაქვს, რომ, პირიქით, არ მოსწონს მისი პოზიცია, – ასე ეხმაურება ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი რამდენიმე დღის წინ ფინანსთა მინისტრ, მამუკა ბახტაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში საბანკო სექტორი ეკონომიკის მუხრუჭია.

„კომერსანტის“ კითხვაზე, რატომ დუმდა აქამდე ხელისუფლება და რატომ მისცა საბანკო სექტორს უფლება, შეესრულებინა ეკონომიკის „მუხრუჭის“ ფუნქცია, ხუხაშვილი აღნიშნავს, რომ ეს არის წმინდა სუბიექტური მომენტი.

– სიმართლე გითხრათ, გარკვეულ იმედებს მიჩენს ბახტაძის ეს ხედვები, მეჩვენება, რომ ბანკების დომინირებამ ქართულ ეკონომიკაზე ძალიან სახიფათო ფორმები მიიღო. ბახტაძე თუ ამას დააბალანსებს, კარგი იქნება. ის კარგია იმითი, რომ არ არის რევოლუციონერი. საბანკო სისტემა სენსიტიურია და მათთან ურთიერთობა საფრთხილოა. ამიტომ საკეთებელი ფრთხილად უნდა გაკეთდეს, – აცხადებს ხუხაშვილი.

# რა ღირს სწავლა თბილისის ყველაზე პრესტიჟულ სკოლებში?



2017/2018 სასწავლო წლების მონაცემებით, საქართველოში 57.141 მოსწავლე კერძო სკოლაში იღებს ზოგად განათლებას, მაშინ როდესაც 2000/2001 წლებში მათი რაოდენობა 12.137 იყო. ეს მონაცემები იმას მოწმობს, რომ კერძო სასწავლო დაწესებულებათა რიცხვი საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება.

ფინანსური შესაძლებლობების შემთხვევაში მშობლები კერძო სკოლებს ანიჭებენ უპირატესობას, ვინაიდან ფიქრობენ, რომ კერძო სასწავლებლებში სწავლების ხარისხი გაცილებით მაღალია.

გთავაზობთ თბილისის პრესტიჟული კერძო სკოლების ჩამონათვალს და სწავლების საფასურს:

ბრიტანულ-ქართული აკადემია – ფასი: 5.900 დოლარი

გივი ზალდასტანიშვილის ამერიკული აკადემია – ფასი: მე-8 კლასამდე 12.500 ლარი, 9-12 კლასები 24.000 ლარი

წმ. გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა – ფასი: 4.700-5.900 ლარი

ნიუტონის თავისუფალი სკოლა – ფასი: 5.400 ლარი

კავკასიის ფრანგული სკოლა – ფასი: დაწყებითი კლასები 5.100 ევრო, მაღალი კლასები 5.450 ევრო

ევროპული სკოლა – ფასი: ქართული სექტორი 4.000 ევრო, საერთაშორისო სექტორი 8.000 ევრო

ლოგოსი – ფასი: 7-8 კლასები 9.000 ლარი, 9-12 კლასები – 11.180 ლარი

ახალი სკოლა – ფასი: დაწყებითი 2.800 ევრო, საშუალო – 2.900 ევრო, საბაზო – 3.100 ევრო.

# თბილისის ისტორიულ ნაწილში შესაძლოა ახალი საბაგიროები გაკეთდეს

თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილის განცხადებით, დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში შესაძლოა ახალი საბაგიროები გაკეთდეს.

როგორც ილია ელოშვილმა ჟურნალისტებს თბილისის მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, ამ ეტაპზე, კონკრეტული არეალების დადგენა მიმდინარეობს.

– რამდენიმე მიმართულებაზე მიდის მუშაობა. ჩვენ ახლა გენგეგმის განახლებულ ვერსიაზე ვმუშაობთ, ასევე ვმუშაობთ იმაზე, რომ მოხდეს სატრანსპორტო მასტერპლანის დასრულება. საბაგიროები განიხილება, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, საინტერესო ტრანსპორტად იმ არეალებში, სადაც განსაკუთრებით დიდი ტურისტული ინტერესებია, ქალაქის ისტორიულ ნაწილში. შესაბამისად, კონკრეტული არეალების დადგენა მიმდინარეობს, – განაცხადა ელოშვილმა.

ცნობისთვის, თბილისის მერიას 12 ახალი საბაგიროს მშენებლობას დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფიც სთავაზობს.



# მაია ცქიტიშვილი: „აზიის განვითარების ბანკი ჩვენი მნიშვნელოვანი პარტნიორია“

აზიის განვითარების ბანკი საქართველოში ინვესტიციების გაზრდას გეგმავს. სამშენებლო სამუშაოები, რომელსაც დონორი დააფინანსებს, 24-კილომეტრიანი გზის მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში აშენდება 9-კილომეტრიანი გვირაბი. ქვეშეთი-კობის მონაკვეთი საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ნაწილია. რაც შეეხება საპროექტო სამუშაოებს, მას მსოფლიო ბანკი აფინანსებს და უკვე დასკვნით ფაზაშია.



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა, მინისტრის პირველმა მოადგილემ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ქარსელაძემ და აზიის განვითარების ბანკის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის გენერალურმა დირექტორმა ვერნერ ლიპახმა პროექტის სამშენებლო არეალი დაათვალიერეს.

– ჩვენ უკვე 10 წელია ვმუშაობთ საქართველოში და ამ პერიოდში 2 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია განვახორციელეთ. ამჯერად ძალიან საინტერესო პროექტს ვეცნობით, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი გზის ნაწილია. მთიანი რელიეფის გამო აქ რთული სამუშაოები გველის, რაც ხიდისა და გვირაბის მშენებლობას ითვალისწინებს. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი როგორც საქართველოსთვის, ისე აზიის განვითარების ბანკისთვის, – განაცხადა ვერნერ ლიპახმა.

– დღეს გავეცანით იმ ლოკაციას, სადაც უშუალოდ იგეგმება გზის გაყვანა. გზასთან ერთად დაგეგმილია გვირაბისა და ხიდის მშენებლობა. ჩვენი დიზაინერების შეფასებით, ეს ხიდი მოხვდება ევროპის 10 საუკეთესო და ყველაზე მაღალ ხიდს შორის. დონორის შეფასებითაც, რეგიონში, ეს მათთვის გამორჩეული პროექტია. აზიის განვითარების ბანკი მხოლოდ მიმდინარე წელს საქართველოში 360 მილიონ ლარამდე ღირებულების საგზაო, წყალმომარაგების და სხვა მიმართულების პროექტებს აფინანსებს. იგი მნიშვნელოვანი პარტნიორია და ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდება, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

მაია ცქიტიშვილის შეფასებით, ქვეშეთი-კობის პროექტის განხორციელება აუცილებელია ქვეყნის სატრანზიტო და ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის.

ჯვრის უღელტეხილზე, ზამთარში, ზვავსაშიშროებისა და რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო საავტომობილო მოძრაობა ხშირად იკეტება და სატრანზიტო მიმოსვლა ფერხდება. პროექტის დასრულების შემდეგ, ეს პრობლემა მოგვარდება და მგზავრობა უსაფრთხო გახდება.

რაც შეეხება 9-კილომეტრიან გვირაბს, რომელიც ჯვრის უღელტეხილის ქვეშ გაივლის, სოფელ წკერესთან დაიწყება და სოფელ კობთან დასრულდება. პროექტი თბილისი-ლარსის მიმართულებით გადაადგილების დროს 1 საათით შეამცირებს.

# იანვარ-მარტში აფხაზებმა ენგურჰესისა და ვარდნილჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგია თითქმის მთლიანად წაიღეს

ზამთარში ქვეყნის მთავარი ელექტროსადგურის, ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია, ფაქტობრივად, მთლიანად აფხაზეთს მიაქვს.

ამაზე მიუთითებს 2018 წლის ელექტროენერგიის ბალანსიც, რომლის მიხედვითა ორივე ჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 92,6% ოკუპირებულ რეგიონს მიეწოდა.

როგორც ცნობილია, აფხაზეთი ენგურჰესისა და ვარდნილჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით მარაგდება. ზამთრის სეზონზე ორივე ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 50%-ზე მეტი აფხაზეთს მიაქვს, ზაფხულში ეს მაჩვენებელი შედარებით მცირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ენგურჰესის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას აფხაზები მთლიანად უფასოდ იღებენ.

საქართველოს ელექტროენერგიის 2018 წლის ბალანსის მიხედვით, იანვარ-მარტში ენგურჰესისა და ვარდგილჰესების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 724.8 მლნ კვტ/სთ იყო, აქედან 671,3 მლნ.კვტ/სთ აფხაზეთის რეგიონმა მოიხმარა, ეს იმას ნიშნავს, რომ 2018 წლის პირველ კვარტალში აფხაზებმა ამ ორი ჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 92,6% წაიღეს. 2017 წლის იანვარ-დეკემბერშიკი აფხაზეთის რეგიონმა 46.9% წაიღო.

რაც შეეხება თითოეულ თვეს, მონაცემები ასე გამოიყურება: იანვარში ენგურჰესისა და ვარდნილჰესის მიერ წარმოებული იქნა 259.1 მლნ კვტ/სთ, თებერვალში – 228.2 მლნ კვტ/სთ, მარტში – 237.4 მლნ კვტ/სთ. აფხაზეთისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობამ კი იანვარში შეადგინა 247.408 მლნ კვტ/სთ, თებერვალში – 216.467 მლნ კვტ/სთ და მარტში – 207.426 მლნ კვტ/სთ.

როგორც ცნობილია, ენგურჰესი ექსპლუატაციაში 1978 წელს შევიდა, თუმცა სამშენებლო სამუშაოები 1988 წელს დასრულდა. ენგურჰესის წლიური გამომუშავება 3 მილიარდ კილოვატ/საათს აღემატება. 1997 წელს დადებული სიტყვიერი შეთანხმების მიხედვით, ენგურჰესისა და ვარდნილჰესების (გალის ტერიტორიაზე) კასკადის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 40% აფხაზეთის რეგიონს უნდა წაეღო, 60% კი – საქართველოს დანარჩენ რეგიონებს. საქართველოსა და აფხაზეთის დე ფაქტო



მთავრობებს შორის კვოტების განაწილებასთან დაკავშირებით ოფიციალური ხელმოწერილი დოკუმენტი არ არსებობს. თუმცა აფხაზებს ყოველთვის 40-50%-ზე მეტი დენი მიაქვთ და თანაც მუდმივად უფასოდ.

# საქართველოს მოსახლეობის რა ნაწილის წლიურ შემოსავალს უტოლდება ბიძინა ივანიშვილის ქონება

Oxfam-ის უახლესი კვლევის თანახმად, მსოფლიოში სულ რაღაც 9 ადამიანი იმაზე მეტ ქონებას ფლობს, ვიდრე პლანეტის 4 მილიარდი მცხოვრები.

საქართველოში კი ყველაზე მდიდარი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის აქტივები დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანის წლიურ შემოსავალს უტოლდება.

– საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის აქტივების ღირებულება (ქონება) საქართველოს ერთი მილიონი მოქალაქის წლიური ფულადი სახსრების ეკვივალენტია, – ამის შესახებ სტატისტიკოსმა სოსო არჩვაძემ „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადა.



მისი თქმით, ქვეყანას ოფიციალურად ჰყავს ყველაზე მდიდარი ადამიანი – ეს არის საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. რაც შეეხება მილიონერებს, მათი რაოდენობა 200-ს აღწევს.

– საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანი ოფიციალურად არის ბიძინა ივანიშვილი. რაც შეეხება სხვა მილიარდერებს, სხვადასხვა წყაროები სხვადასხვა ციფრს ასახელებენ. საშუალოდ 10-მდე ქართველ მილიარდერზე საუბრობენ. ასევე, წლების წინ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ ოფიციალურ ღონისძიებაზე განაცხადა, რომ საქართველოს 12 მილიარდერი ჰყავსო. თუმცა ოფიციალურად ეს დადასტურებული არ არის. ქართველ მილიონერებს რაც შეეხება, მათი რიცხვი დაახლოებით ორი ასეულია. ისინი მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთ, – აღნიშნავს არჩვაძე.

რაც შეეხება ქვეყანაში ქონების გადანაწილების საკითხს, სოსო არჩვაძის ინფორმაციით, შესაბამისი ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს და უცნობია, ეროვნული ქონების რა ნაწილს ფლობენ მდიდარი ადამიანები. მისივე თქმით, საქართველოში დღემდე პრობლემად რჩება შემოსავლების უთანასწორო განაწილება.

– მართალია, ქონების გადანაწილებასთან დაკავშირებით ოფიციალური კვლევა არ ტარდება, თუმცა ე.წ. ჯინის ინდექსის მიხედვით – შემოსავლების უთანასწორო განაწილების მაჩვენებელი – საკმაოდ „მოწინავე“ ადგილებზე ვართ ეკვატორული და საჰარის სამხრეთ მდებარე ქვეყნების გვერდით. ამ მხრივ, როგორც წინა წლებში, უთანასწორობა საკმაოდ მაღალია. ყველაზე მდიდარი და ღარიბი მოსახლეობის 10-10%-ის საშუალო შემოსავალი რომ შევაფარდოთ ერთმანეთს, ორჯერ უფრო მაღალ მაჩვენებელს მივიღებთ, ვიდრე ეს არის გერმანიაში. ამის ერთ-ერთი გამოვლენა არის ის, რომ მიგრაციის სურვილი მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას და სხვა დადებით მაჩვენებლებს ჩვენს ეკონომიკაში, მიგრაციის უარყოფითი სალდო არ შეცვლილა, – განმარტავს სტატისტიკოსი.

მისივე ინფორმაციით, თუკი ადრე ადამიანები შემოსავლების მიხედვით სამ ფენად იყოფოდნენ – მდიდრები, საშუალო ფენა და ღარიბები, ახლა ორი კატეგორია დაემატა – შეძლებულები და ლატაკები.

– იმისათვის რომ ვთქვათ, რამდენია პროცენტულად მდიდარი მოსახლეობა, ამისთვის უნდა გვქონდეს ერთგვარი სტანდარტი. მაგალითად, ის, რაც ამერიკელისთვის სიმდიდრედ ითვლება, ჩვენთან შეიძლება საშუალო მაჩვენებლად ჩაითვალოს. ჩვენი ეკონომიკურ-სოციალური ფონიდან გამომდინარე, კრიტერიუმებიც სხვა გვაქვს, თუმცა ეს ოფიციალური არ არის. გვაქვს სუბიექტური დამოკიდებულების მაჩვენებელი. ზოგისთვის 500 ლარი საშუალო ხელფასია, ზოგისთვის საკმაოდ დაბალი.

არაოფიციალურად, საქართველოს მოსახლეობის 2-2,5% არის მდიდარი, 10-15% შეძლებულია, რომლებიც არც ძალიან ფუფუნებაში ცხოვრობენ და არც სიღარიბე აწუხებთ. 20-დან 45%-მდე კი საშუალო ფენა გვყავს. ასევე, 20დან 45%მ-დეა ღარიბთა რაოდენობა. წლების განმავლობაში ქვეყანაში ტრადიციული სამფენოვანი დაყოფა იყო, თუმცა ბოლო წლებმა აჩვენა, რომ ეს შეიცვალა. ორი კატეგორია დაემატა – შეძლებულები და ლატაკები. ლატაკები არიან გაცილებით უფრო მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, ვიდრე ღარიბები. შეძლებული კი შეგვიძლია ვუწოდოთ ადამიანს, რომელიც შედარებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე საშუალო ფენის წარმომადგენელი, – აღნიშნავს სოსო არჩვაძე.

მისივე განმარტებით, მხოლოდ შემოსავლის მიხედვით, ადამიანებს ამა თუ იმ კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ, რადგან არ ვიცით მათი ფაქტობრივ-ქონებრივი მდგომარეობა, საცხოვრისი პირობები და ა.შ.

# სურამში ყოფილი სანატორიუმი „ფოლადი“ გაიყიდა

დაბა სურამში, ჩუმათელეთში მდებარე ყოფილი სანატორიუმი „ფოლადის“ ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ამორტიზებული ინფრასტრუქტურის ნაცვლად მალე ახალი სასტუმრო-კომპლექსი მოეწყობა.




უძრავი ქონება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე 895.000 ლარად გაყიდა.

აუქციონის პირობების მიხედვით, მყიდველი აღნიშნულ უძრავ ქონებაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სასტუმრო-კომპლექსს მოაწყობს.

პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ 2016 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობს და მისი მიზანია ინვესტორებს საქართველოს მასშტაბით შესთავაზოს უკვე არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით სასტუმრო-ინფრასტრუქტურის განვითარება. შეგახსენებთ, რომ დღეის მდგომარეობით, უკვე გაყიდულია 51.313.001 ლარის ღირებულების უძრავი ქონება, ხოლო სასტუმროების ასაშენებლად განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა არანაკლებ 98.500.000 ლარს შეადგენს.

# მერია შეღავათიანი სამგზავრო ბარათების უკანონოდ გამოყენებაზე კონტროლს ამკაცრებს

თბილისის მერიის ინფორმაციით, შეღავათიანი სამგზავრო ბარათების უკანონოდ გამოყენებაზე კონტროლი მკაცრდება.

როგორც მერიიდან იუწყებიან, ცვლილებები შევიდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში №6-25, რომელიც მუნიციპალურ ტრანსპორტში შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის წესებს არეგულირებს.

– ცვლილება შეღავათიანი სამგზავრო ბარათების არაკეთილსინდისიერად გამოყენების გახშირებულმა შემთხვევებმა განაპირობა და შეტანილი ცვლილების შედეგად, სამგზავრო ბარათის არაბენეფიციარის მიერ გამოყენების შემთხვევაში, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის უფლებამოსილ პირს უფლება აქვს დააჯარიმოს დამრღვევი და არასწორად გამოყენებული ბარათი ავტომატურად დაბლოკოს 6 თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბარათი ექვემდებარება ავტომატურ, უფასო განბლოკვას. იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმა გასაჩივრების შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმდება, ბარათის კანონიერ მფლობელს შეუძლია მიმართოს მერიის შესაბამის სტრუქტურას განცხადებით, მოითხოვოს ბარათის განბლოკვა და მასზე სამგზავრო ფუნქციის აღდგენა, რაც განცხადების დარეგისტრირებიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღეში განხორციელდება, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.



# „მირზა სუბელიანი პროკურატურას მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ვიდეოკადრების გასაჯაროებით აშანტაჟებს“

## 2 არასრულწლოვნის მკვლელობის ახალი სკანდალური დეტალები

„ნიუპოსტი“ ადრეც წერდა, რომ მოზარდი, რომლის დაჩაგვრის გამო 51-ე და პირველი ექსპერიმენტული სკოლების მოსწავლეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, მთავარი პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსნის, მირზა სუბელიანის შვილია.

სისხლიან გარჩევაში ასევე, ფიგურირებს სუბელიანის არასრულწლოვანი ნათესავი, თუმცა ორივე მათგანს მოწმის სტატუსი აქვს მინიჭებული.

„რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა „ნიუპოსტთან“ ღიად ამბობს, რომ სისხლის სამართლის საქმე მირზა სუბელიანის მიერ შეიკერა და მისი უშუალო მითითებით ცვლიან სასამართლო პროცესზე მოწმეები ჩვენებებს.

მეტიც, კუპრავას თქმით, პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი შოთაძის უწყებას აშანტაჟებს. უფრო კონკრეტულად, ყოფილი პოლიციელის ინფორმაციით, მირზა სუბელიანს, პროკურატურაში მაღალ თანამდებობაზე ყოფნისას, ხელში ჩაუვარდა 2014 წლის 14 დეკემბერს, ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის კადრები და სწორედ აღნიშნული მტკიცებულებით მანიპულირებს სუბელიანი მთავარ პროკურატურაზე.

– მირზა სუბელიანს ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის კადრები აქვს. 2014 წელს, როცა ეს ფაქტი, მოხდა სუბელიანი სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი იყო და უშუალოდ კურირებდა კადრებს. დღეს კი, როცა მოზარდების მკვლელობის საქმეში მირზა სუბელიანის ოჯახის წევრები ფიგურირებენ (კონკრეტული გვარების დასახელება და ბრალდებების გაჟღერება არ მინდა), ის აშანტაჟებს პროკურატურას, რომ თუ




შეეხება მის ახლო ნათესავებს, მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის კადრებს გაასაჯაროებს, შესაბამისად, შოთაძის უწყება ექცევა სწორედ ამ ზეწოლის ქვეშ, რადგან ამ ფირების გამოაშკარავება მისთვის თვითმკვლელობის ტოლფასია, ამიტომ ბრალდების მხარე იძულებულია, სტატუს-ქვო შეინარჩუნოს, ანუ მხოლოდ 2 ბრალდებული საქმეში, თუმცა დაცვის მხარე, დაზარალებული და საზოგადოების დიდი ნაწილი თანხმდება, რომ საქმეში არის იმაზე მეტი ბრალდებული, ვიდრე ამას ბრალდების მხარე ამტკიცებს, – აღნიშნა „ნიუპოსტთან“ ზვიად კუპრავა.

მისივე თქმით, თავის დროზე მირზა სუბელიანთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რომ ფირი მისთვის გადაეცა.

– მისი უახლოესი პირის მეშვეობით მქონდა კომუნიკაცია მირზა სუბელიანთან. ეს ადამიანი საზოგადოებისთვის ცნობილი პირია, ამიტომ თავს შევიკავებ დასახელებისგან, თუმცა ვადასტურებ, რომ არაერთხელ მქონდა მისი მეშვეობით კომუნიკაცია და ვითხოვდი სუბელიანს მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ვიდეომტკიცებულება ჩემთვის გადმოეცა, თუმცა ბოლოს, ეს მოლაპარაკება ჩიხში შევიდა, – თქვა „რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელმა.

ყოფილი სამართალდამცავი მზად არის, გამოძიებას უფრო მეტი დეტალი მიაწოდოს.

– პროკურატურამ, პირველ რიგში, გამოძიება უნდა დაიწყოს, დაიბაროს მირზა სუბელიანი და დაკითხოს. როგორც ვიცი, ჩემი განცხადების შემდეგ, ადვოკატებიც აპირებენ სასამართლოზე ეს შუამდგომლობა დააყენოს, – ამბობს კუპრავა.

გასული წლის 1 დეკემბერს თბილისის ცენტრში, დავით სარალიძე და ლევან დადუნაშვილი დაჭრეს. ერთი მოზარდი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ექიმებმა ვერც დავით სარალიძის გადარჩენა შეძლეს. ის მომხდარიდან მეორე დღეს დაიღუპა.

ხორავას ქუჩის ინციდენტის გამო 2001 წელს დაბადებული პირი განზრახ მკვლელობის ბრალდებით 2 დეკემბერს დააკავეს. მანამდე, პროკურატურამ ამ დანაშაულისთვის ორი პირი პასუხისგებაში მისცა. 4 დეკემბერს კი, სასამართლომ მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, თუმცა მოკლული დავით სარალიძის მამა გამოძიებას უნდობლობას უცხადებს და ამბობს, რომ ხორავას ქუჩის სისხლიან გარჩევაში სხვა დამნაშავეებიც იკვეთებიან, რომელსაც მაღალჩინოსნები მფარველობენ.

ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში 22 იანვარს დაიწყო, განაჩენი კი რამდენიმე თვეში, ივნისამდე უნდა გამოცხადდეს.

# ხორავაზე მოკლული ბიჭის მამა: „ძალიან მყარი ინფორმაცია მაქვს, რომ ორი მკვლელი გარეთ დადის. სუბელიანი პროკურატურას აშანტაჟებს“

ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდის, დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე, კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ, მისი ინფორმაციით, „ძალიან მყარი ინფორმაცია აქვს, რომ ორი მკვლელი გარეთ დადის“.

მისივე თქმით, უკვე დარწმუნებულია იმაში, რომ მოწმეზე, რომელმაც უკვე ხუთჯერ შეცვალა ჩვენება, ზეწოლა განახორციელეს.

სარალიძე კონკრეტულ გვარსაც ასახელებს და ამბობს, რომ პროკურატურას ყოფილი მაღალჩინოსანი, მირზა სუბელიანი აშანტაჟებს, რომლის შვილი და ნათესავი ამ საქმეში ფიგურირებს.

– დარწმუნებული ვარ, რომ მირზა სუბელიანი აშანტაჟებს პროკურატურას, რომ არ გამოიკვეთოს სხვა შესაძლო დამნაშავე. ჩემი ინფორმაციით, რომელიც ძალიან მყარია, ორი მკვლელი გარეთ დადის. ერთ-ერთი არის უკვე დაკითხული მოწმე. მ.კ. წესით, დღეს დაკავებული უნდა იყოს იმის გამო, რომ სასამართლოზე მიცემული ჩვენება მეორე პროცესზე შეცვალა. თუმცა ამაზე პროკურატურისგან რეაგირებას ვერ ვხედავ და გამოდის რომ მას ხელს აფარებს, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.



# პოლიცია ზვიად დევდარიანს 3 საათის განმავლობაში კითხავდა



თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში არასამთავრობო ორგანიზაცია სიდა-ს ყოფილი ხელმძღვანელის ზვიად დევდარიანი დაკითხეს. მას კითხვებს სამი საათის განმავლობაში უსვამდნენ.

დევდარიანის თქმით, ის მზად არის, ყველა უწყებასთან ითანამშრომლოს.

– პრესკონფერენციაზეც განვაცხადეთ, რომ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საგამოძიებო ორგანოებთან, სახალხო დამცველთან, რადგან მივიჩნევთ, რომ ერთადერთი გზა ჩვენი მხრიდან სამართლებრივი გზაა. ასე რომ, ყველა სამართლებრივ ბერკეტს გამოვიყენებთ, – განაცხადა ზვიად დევდარიანმა.

ზვიად დევდარიანის ადვოკატ ნინო ბარეჩაშვილის თქმით, ზვიად დევდარიანს ჯერ ბრალი არ აქვს წარდგენილი და გამოძიების დასრულებამდე მეტ კომენტარს ვერ გააკეთებენ.

– გამოძიებამ ჩვენ დაგვიბარა, გავეცით ყველა დასმულ შეკითხვას პასუხი, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ჩვენი მხრიდან ვერანაირი კომენტარი ვერ გაკეთდება, – განაცხადა ადვოკატმა.

# „ბავშვმა მითხრა, გამაშიშვლეს, სხვები მიყურებდნენ და შემრცხვაო“ — რა მოხდა ბათუმის №14 საბავშვო ბაღში

ბათუმის მე-14 საბავშვო ბაღში მომხდარზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში „ნიუპოსტს“ უთხრეს, რომ ბათუმის მე-14 საჯარო საბავშვო ბაღში მომხდარზე გამოძიება 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

– როცა ბაღში მივედი, შვილი ატირებული დამხვდა. მითხრა, გამაშიშვლეს, სხვები მიყურებდნენ და შემრცხვაო. ჩემს შვილს ბაღში წასვლა აღარ უნდა, – აცხადებს „ბათუმელებთან“ მშობელი, რომლის 5 წლის შვილი ბათუმის №14 საჯარო საბავშვო ბაღში დადის.

მისივე მონაყოლის თანახმად, საბავშვო ბაღში პარაზიტებზე ანალიზის დროს ბავშვებს ხელებს ძალით უჭერდნენ და ერთმანეთის თანდასწრებით ხდიდნენ საცვალს. მშობელი როდესაც ამ პროცესს შეესწრო, შეჩერება მოითხოვა, თუმცა ამბობს, რომ ექიმები მას შემდეგ შეჩერდნენ, როცა ადგილზე საპატრულო პოლიცია და სახალხო დამცველის წარმომადგენლები მივიდნენ.

# 5 კომპანიის ხელმძღვანელი დააკავეს

საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტებზე საგამოძიებო სამსახურმა ხუთი პირი დააკავა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალაქ თბილისში, კახეთის, მცხეთისა და აჭარის რეგიონებში, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გასაღების ხუთი ფაქტი გამოავლინეს და ხუთი კომპანიის ხელმძღვანელი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული პირები, უკანონო სარგებლის მიღების მიზნით, საგადასახადო დოკუმენტაციის გაყალბებას და რეალიზაციას ახდენდნენ. კერძოდ, მათ დაამზადეს და გაასაღეს ყალბი ანგარიშფაქტურები და სასაქონლო ზედნადებები, რომლის თანახმად, თითქოსდა რეალიზებულ იქნა სხვადასხვა დასახელების საქონელი – სამშენებლო და ხის მასალები, ასევე, სამეურნეო დანიშნულების პროდუქცია.

საქონლის რეალური მიწოდების გარეშე ფიქტიურად გამოწერილი, გაყალბებული საგადასახადო დოკუმენტების ჯამური ღირებულება დაახლოებით 300.000 ლარს შეადგენს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 4 წლამდე ვადით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# გერის მკვლელობაში ბრალდებულ ვეფხვია ბაქრაძეს პატიმრობა შეეფარდა



ბარნოვის ქუჩაზე 25 წლის ქალის მკვლელობაში ბრალდებულ ვეფხვია ბაქრაძეს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. გადაწყვეტილება მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა მიიღო.

პატიმრობა შეეფარდა დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებულ თეიმურაზ ბაქრაძესაც. მკვლელობა თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, 13 აპრილს მოხდა. ყოფილმა მამინაცვალმა ახალგაზრდა ქალს მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

# პროკურორი: „ბრალდებულმა მოკლულის დედას ტელეფონზე უპასუხა, რომ თაკო მიწაშია“

ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი სასტიკი მკვლელობის საქმის პროკურორი აცხადებს, რომ ვეფხვია ბაქრაძეს განზრახული ჰქონდა თაკო გამრეკელაშვილის მოკვლა, რასაც ბრალდებულსა და მოკლულს შორის წინა დღით შემდგარი კომუნიკაცია მოწმობს, როდესაც ვეფხია ბაქრაძე გერს დაემუქრა, რადგან მოკლული წინააღმდეგი იყო, რომ დედამისი ვეფხია ბაქრაძეს შერიგებოდა და მკვლელობის მოტივი სწორედ ეს გარემოება გახდა.

– წინა საღამოს სწორედ დაემუქრა. შედგა სატელეფონო კომუნიკაცია გარდაცვლილსა და ბრალდებულს შორის. დაძაბულობა იყო მათ შორის იმის გამო, რომ გარდაცვლილი წინააღმდეგი იყო ბრალდებულისა და მისი დედის ურთიერთობის, კერძოდ, წინააღმდეგი იყო რომ დედამისი შერიგებოდა მოძალადეს და არ ეცხოვრა მასთან ერთად, – აცხადებს, იოსებ ხუციშვილი.

პროკურორის ინფორმაციით, მოკლულის დედა შემთხვევის შემდეგ ბრალდებულს დაუკავშირდა.

– გარდაცვლილმა და დედამისმა ტელეფონები გაცვალეს, შესაბამისად, გარდაცვლილს ჰქონდა თან დედის ტელეფონი. როდესაც დედამ თავისივე ტელეფონზე დარეკა, უპასუხა ბრალდებულმა. როცა ჰკითხა: რატომ პასუხობ შენ ამ ტელეფონზეო, მან უპასუხა, რომ თაკო მიწაშია, – აღნიშნა ხუციშვილმა.

# ლანჩხუთში მიკროავტობუსი დაიწვა

ლანჩხუთში, სოფელ აკეთში, დაიწვა მიკროავტობუსი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

2018, 18 აპრილი, №90

# ტრამპმა რუსეთის მიმართ ახალი სანქციების შემოღება გადადო



დონალდ ტრამპმა სამყარო კვლავ გააოცა. სირიაზე დარტყმის შემდეგ ყველა დარწმუნებული იყო, რომ აშშ რუსეთს ასადის მხარდაჭერისთვის დამატებით სანქციებს დაუწესებდა. ამის თაობაზე ჯერ გაეროში აშშ-ის წარმომადგენელმა ნიკი ჰეილიმ, შემდეგ თეთრი სახლის პრესსამსახურის უფროსმა სარა სანდერსმა განაცხადეს. მიუხედავად ამისა, ტრამპმა ახალი სანქციების შემოღება გადადო.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლიმკინმა აღნიშნა, რომ რუსეთის მიმართ სანქციები აუცილებლად უნდა გაძლიერდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსკოვი თავის აგრესიულ პოლიტიკას გააგრძელებს.

— მოსალოდნელია დარტყმა უკრაინაზე. რასაკვირველია, ამისი დანამდვილებით თქმა არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ უარესისთვის უნდა მოვემზადოთ! — თქვა კლიმკინმა.

# რუსები საერთაშორისო ინსპექტორების საქმიანობის დაბლოკვას ცდილობენ




სირიაში ჩავიდნენ ქიმიური იარაღის ამკრძალავი საერთაშორისო ორგანიზაციის ინსპექტორები. ისინი აპირებდნენ დაეთვალიერებინათ ქალაქი დუმა, სადაც რუსების დამქაშმა ასადმა სირიელი პარტიზანების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა. დუმას ასადის არმია და რუსული სამხედრო პოლიცია აკონტროლებენ.

რუსები ცდილობენ, ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ყოველგვარი კვალი წაშალონ. საერთაშორისო ინსპექტორებიც დუმაში არ შეუშვეს.

# ტერეზა მეი: „ბრიტანეთს სირიაზე დარტყმა ამერიკის ზეწოლით არ განუხორციელებია“



ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ სირიაზე დარტყმა მისი ქვეყნის ინტერესებში შედიოდა.

— ბრიტანეთმა სირიაზე დარტყმა ამერიკის ზეწოლის გამო არ განახორციელა, — ამბობს მეი.

პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ სირიაზე დარტყმას მთელმა მსოფლიომ დაუჭირა მხარი.

— რუსეთმა გაეროში შემოიტანა რეზოლუცია, სადაც ჩვენი და ამერიკელების მოქმედება სასტიკად იყო დაგმობილი. რუსები აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდნენ და რეზოლუციაც ჩავარდა, — თქვა მეიმ.

# რუსი ჟურნალისტი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა



რუსი ჟურნალისტი ანდრეი ბოროდინი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. ის თავისი აივნის ქვეშ ტროტუარზე დაგდებული იპოვეს. უგონო მდგომარეობაში მყოფი ჟურნალისტი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ბოროდინმა თავის მეგობარს დაურეკა და უთხრა, რომ მის სადარბაზოში შეიარაღებული ნიღბოსნები გამოჩნდნენ, აივანზე კი თოფიანი მამაკაცი მოძვრებოდა. ეს მისი უკანასკნელი ზარი იყო.

ბოროდინი სირიაში რუსი დაქირავებულების („ფირმა ვაგნერის“ ბიჭები) საქმიანობაზე წერდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სახლის მყიდველს შიგნით მისი ყოფილი მფლობელის მუმია დახვდა



ჩრდილოეთ იტალიაში სახლის პოტენციურ მყიდველს შიგნით მისი ყოფილი მფლობელის მუმიფიცირებული ცხედარი დახვდა.

სახლი აუქციონზე გასაყიდად მას შემდეგ გამოიტანეს, როდესაც მისმა მფლობელმა კომუნალური გადასახადების და იპოთეკის გადასახადის გადახდა შეწყვიტა. ერთი პოტენციური მყიდველი სასამართლო ორგანოების წარმომადგენელთან ერთად მივიდა ადგილზე, რათა ნაგებობა დაეთვალიერებინა და შიგნით დივანზე დამჯდარ მდგომარეობაში მყოფი სახლის ყოფილი პატრონის ცხედარი აღმოაჩინა.

სახლის მფლობელი 42 წლის ვალტერ დალძოტო 2017 წლის ზაფხულში გარდაიცვალა. ის განმარტოვებით ცხოვრობდა და არავისთან ურთიერთობდა. მისი მამა და ძმა მეზობელ ქალაქში ცხოვრობენ, მაგრამ დალ-ძოტო არც მათთან ურთიერთობდა.

# შავ დათვს ბავშვების ბატუტი მოეწონა



ამერიკელმა ვიდეოზე გადაიღო შავი დათვი, რომელიც მის ეზოში დადგმულ ბატუტზე მოკალათდა.

ამერიკის კონექტიკუტის შტატის მცხოვრებმა ემი ფოსტერმა ფეისბუქში გამოაქვეყნა ორი ვიდეორგოლი. ერთ-ერთ მათგანზე მტაცებელი ცხოველი ირწევა მისი წონის ქვეშ ამოძრავებულ ბატუტზე და მასზე დაყრილი სათამაშოების დაჭერით ერთობა. მეორე ვიდეოზე კი ჩანს, რომ დათვი გვერდით მდგარ ხეზე მიბობღავს, შემდეგ კი ტყეში გარბის.

ფოსტერი ამტკიცებს, რომ მტაცებლის კლანჭებმა ბატუტი დააზიანა და ვიდეორგოლს შემდეგ კომენტარს ურთავს: — როგორც ჩანს, ახლა უკვე სათამაშო მოედანი ჩვენ ეზოში მხოლოდ ბავშვებს აღარ ეკუთვნით. საჭირო იქნება ფულის შეგროვება ახალი ბატუტის შესაძენად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# წამალი, რომელიც სიცოცხლის ელექსირია

მართლაც სიცოცხლის ელექსირია ქალბატონი ეთერის წამალი. მისმა წამალმა ბევრ ადამიანს გაუხანგრძლივა სიცოცხლე. მას საქართველოში და საზღვრებს გარეთაც კარგად იცნობენ, როგორც სახალხო მკურნალს. მისი უებარი წამალი მესამე თაობის გადმონაშთია.

— ქალბატონო ეთერ, დედამ გაიკეთა სიმსივნის ოპერაცია — მე-3 სტადია. თირკმელში ჰქონდა ნარჩენი შარდი, რომელიც საოპერაციო იყო. დავიწყეთ თქვენი წამლით მკურნალობა და შედეგმაც მოლოდინს გადააჭარბა. მივედით საავადმყოფოში, ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ თირკმელზე. 5 დღის დალეული ჰქონდა თქვენი წამალი. ექიმმა ახლად გაუკეთა ექოსკოპია და გაკვირვებულმა გვითხრა, რას ასმევდით ამ მოკლე დროში, რომ ნარჩენი შარდი აღარ აქვსო. თქვენი მისამართი მივეცით. თვითონ ექიმი ძალიან დაინტერესდა. ჩვენ გადავრჩით ოპერაციას. რა მადლობა უნდა ვუთხრათ ქალბატონ ეთერს, მადლობა ცოტაა. დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ და ჯანმრთელობას.

**მაკა თუთაძე:**

— მქონდა მკერდზე კვერცხისოდენა სიმაგრე. დედა მყავს ონკოლოგი. მოისმინა ეთერის გადაცემა ტელევიზიით და მიმიყვანა მასთან. ეთერისგან ორი კურსის გავლის შემდეგ სიმსივნე უკვალოდ გაქრა. არ გავიკეთე ოპერაცია, ცოცხალი მოწმე აგერ ვარ, ხალხო.

**თამაზ მალერაშვილი:**

— მქონდა კუჭზე სიმსივნე, მეორე სტადია. ბევრი ვიმკურნალე ექიმების წამლებით, მაგრამ უშედეგოდ. დავლიე ეთერის წამალი და ახლა კარგად ვარ. მისმა უებარმა წამალმა მეტასტაზი არსად გაუშვა და ლოკალიზება მოახდინა.

— ჩემს ქმარს ჰქონდა პროსტატის სიმსივნე. დაუძლურდა, სისხლს შარდავდა და ფეხზე ვერ დგებოდა. ბევრი წამალი ვასვით, მაგრამ უშედეგოდ. ეთერის წამალმა დიდი შედეგი მოგვცა. მე არ ვაზვიადებ, მაგრამ მისმა მალამომ ძალიან მტკივნეული ბუასილიც მოარჩინა. შველის ნაწოლებს, ტროპიკულ წყლულს, განგრენიან ფეხს. როგორ არ ვაქო. მისი წამლები სასწაულებს ახდენს.

**ნიკა სადუნაძე:**

— მქონდა თავში კისტა. მოკლედ რომ გითხრათ, ეთერის წამალმა სულ გამიქრო. მადლობა მას ასეთი დამსახურებისათვის. მე ვიტყოდი, რომ საქართველოში მეორე არ არსებობს, რომ ასეთ ძლიერ წამალს აკეთებდეს. მისი მამა-პაპა თურმე ამით კურნავდა წინათ ხალხს, როცა მედიცინა უძლური იყო. არც ახლა არის შედეგიანი ქიმიური წამლები.

— მქონდა თავში სიმსივნე და მე არ ვასახელებ ჩემს გვარს შეგნებულად. ქალბატონმა ეთერმა მაჩუქა სიცოცხლე. მოკლედ ვიტყოდი, რომ ეს ქალბატონი არის ღმერთისგან გამოგზავნილი პიროვნება. კუჭის წყლულს 1 თვეში კურნავს, ლიმფურ კვანძებს და სისხლს წმენდს მისი უებარი წამალი. ვინც მასთან მივა, ყველა კმაყოფილი დარჩება. მე მას რეკლამას არ ვუკეთებ. მისი წამალი მართლაც სარეკლამოა. ირწმუნეთ და შედეგიც მალე გექნებათ.

თუ გაინტერესებთ, მის ტელეფონს ვწერ. სახლის 269-17-37; მობ.: 599-96-44-63.

ეთერ კიკვილაშვილი-ბოლაშვილი.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

**ბაბინაშვილი მანანა:**

— ეთერის უებარმა მალამომ ჩემს მამას ფეხზე განგრენიანი თითები მოკვეთას გადაურჩინა. დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ქალბატონო ეთერ. თქვენმა მალამომ ყველა მალამოს აჯობა, ამას ვიტყვი სრული სინამდვილით.

**თამარ ღლონტი:**

— ძალიან მაწუხებდა დიზბაქტერიოზი აშლილობით, ფეხზე ველარ ვიდექი, დავსუსტდი. უშედეგოდ ვმკურნალობდი. ქალბატონმა ეთერმა სამ დღეში ფეხზე დამაყენა. დიდხანს იცოცხლეთ ქალბატონო ეთერ.


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

## სოხუმი ოლიმპთანაც დამარცხდა



**სოხუმი-ოლიმპი 41:89**
**(15:13, 7:33, 10:22, 9:21)**

სუპერლიგის გამოტოვებული მატჩი გაიმართა. შეხვედრის შედეგი წინდაწინ ცნობილი იყო, რადგან უპირობო აუტსაიდერი სოხუმი, რომელსაც მიმდინარე სეზონში მხოლოდ 1 გამარჯვება აქვს მოპოვებული, ოლიმპს ხვდებოდა და უდიდესი სენსაცია იქნებოდა, რომ მოეგო. სენსაცია არც მომხდარა – ოლიმპმა მატჩი ზედმეტი გართულების გარეშე მოიგო.

სოხუმელებმა თამაში დალაგებულად დაიწყეს და პირველი პერიოდი 15:13 მოიგეს, თუმცა მეორე ათწუთეულში მათი დაცვა ჩამოიშალა. ოლიმპმა მეორე ათწუთეული 33:7 მოიგო, დიდი უპირატესობა მოიპოვა და თამაშის ბოლომდე ლიდერობას ზრდიდა.

ოლიმპელებს 25 ქულით და 8 პასით გივი ბაქრაძემ ულიდერა. 14 ქულა და 11 მოხსნა მორის ჰილმა დააგროვა, ალექსანდრე ბოლქვაძემ და გეგი ბაქრაძემ კი თავი 12-12 ქულას მოუყარეს. სოხუმელთაგან 10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ ახალგაზრდა, 20 წლის გიორგი ყეინაშვილმა დაძლია, რომელმაც 11 ქულა მიითვალა. ორმაგ დუბლამდე 1 ქულა დააკლდა სერგო ათუაშვილს, რომელმაც თავი 9 ქულას და 11 მოხსნას მოუყარა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 28 | 19 | 9 | 2341:2139 | 47 |
| 2.დინამო | 28 | 18 | 10 | 2344:2154 | 46 |
| 3.კაქტუსი | 28 | 18 | 10 | 2310:2251 | 46 |
| 4.რუსთავი | 28 | 18 | 10 | 2279:2176 | 46 |
| 5.ბათუმი | 29 | 16 | 13 | 2244:2109 | 45 |
| 6.ოლიმპი | 28 | 14 | 14 | 2185:2122 | 42 |
| 7.მგზავრები | 28 | 13 | 15 | 2225:2314 | 41 |
| 8.დელტა | 28 | 10 | 18 | 2275:2369 | 38 |
| 9.სოხუმი | 29 | 1 | 28 | 2136:2705 | 30 |

## ქართველმა ჰოკეისტებმა თურქეთი დაამარცხეს



საქართველოს ყინულის ჰოკეის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 დივიზიონში მონაწილეობს. გუნდები კეიპტაუნში არიან შეკრებილნი და პირველ მატჩში ჩვენმა გუნდმა იოლად დაამარცხა თურქეთის ნაკრები – 6:2.

მატჩის ბედი პრაქტიკულად პირველივე პერიოდში გადაწყდა, რომელიც ჩვენებმა 4:1 მოიგეს. ანგარიში თურქებმა გახსნეს, მაგრამ მე-11 წუთზე ალექსანდრ ვასილჩენკომ გაათანაბრა, ზუსტად 10 წამში კი ოლივერ ობოლგოგიანმა მეორე შაიბა გაიტანა თურქების კარში. ამავე პერიოდში თავი ალექსანდრე ჟუჟუნაშვილმა და ივან შვეცოვმაც გამოიჩინეს.

მეორე პერიოდი საქართველოს ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით, 1:0 მოიგო. შაიბა ვასილჩენკომ გაიტანა. მესამე პერიოდი 1:1 დასრულდა, დუბლი ობოლგოგიანმაც შეასრულა.

ასევე აღსანიშნავია არტიომ კურბატოვის კარგი თამაში, რომელმაც 3 საგოლე პასი შეასრულა, თუმცა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ჟუჟუნაშვილი დაასახელეს.

გეტყვით, რომ სამხრეთ აფრიკაში 6 ნაკრები მონაწილეობს, ტურნირის გამარჯვებული კი მე-2 დივიზიონში გადავა. საქართველოს ნაკრების გარდა კეიპტაუნში გამოდიან, მასპინძელი სამხრეთი აფრიკა, ჰონკონგი, ბულგარეთი, ტაივანი, თურქეთი.

მომდევნო მატჩში საქართველოს ნაკრები ბულგარეთს შეხვდება.

## შედეგები

**16 აპრილი**
**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-სტოკი ............................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 33 | 28 | 3 | 2 | 93-25 | 87 |
| 2.მანჩესტერი | 33 | 22 | 5 | 6 | 63-26 | 71 |
| 3.ლივერპული | 34 | 20 | 10 | 4 | 78-35 | 70 |
| 4.ტოტენჰემი | 33 | 20 | 7 | 6 | 65-30 | 67 |
| 5.ჩელსი | 33 | 18 | 6 | 9 | 57-33 | 60 |
| 6.არსენალი | 33 | 16 | 6 | 11 | 62-45 | 54 |
| 7.ბარნლი | 33 | 14 | 10 | 9 | 33-29 | 52 |
| 8.ლესტერი | 33 | 11 | 10 | 12 | 49-47 | 43 |
| 9.ევერტონი | 34 | 11 | 9 | 14 | 39-54 | 42 |
| 10.ნიუკასლი | 33 | 11 | 8 | 14 | 35-42 | 41 |
| 11.ბორნმუთი | 34 | 9 | 11 | 14 | 41-56 | 38 |
| 12.უოტფორდი | 34 | 10 | 7 | 17 | 42-60 | 37 |
| 13.ბრაიტონი | 33 | 8 | 11 | 14 | 31-46 | 35 |
| 14.ჰადერსფილდი | 34 | 9 | 8 | 17 | 27-54 | 35 |
| 15.ვესტ ჰემი | 33 | 8 | 11 | 14 | 41-59 | 35 |
| 16.კრ.პალასი | 34 | 8 | 10 | 16 | 36-54 | 34 |
| 17.სუონსი | 33 | 8 | 9 | 16 | 27-46 | 33 |
| 18.საუთჰემპტონი | 33 | 5 | 13 | 15 | 33-53 | 28 |
| 19.სტოკი | 34 | 6 | 10 | 18 | 31-64 | 28 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 4 | 12 | 18 | 27-52 | 24 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-ბარსელონა ბ ...................... 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

მაინცი-ფრაიბურგი ....................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 24 | 3 | 3 | 81-22 | 75 |
| 2.შალკე | 30 | 16 | 7 | 7 | 47-33 | 55 |
| 3.ლევერკუზენი | 30 | 14 | 9 | 7 | 55-37 | 51 |
| 4.დორტმუნდი | 30 | 14 | 9 | 7 | 57-41 | 51 |
| 5.ლაიპციგი | 30 | 13 | 8 | 9 | 45-42 | 47 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 30 | 12 | 10 | 8 | 55-42 | 46 |
| 7.აინტრახტი | 30 | 13 | 7 | 10 | 41-37 | 46 |
| 8.გლადბახი | 30 | 11 | 7 | 12 | 39-48 | 40 |
| 9.ჰერტა | 30 | 9 | 12 | 9 | 35-35 | 39 |
| 10.შტუტგარტი | 30 | 11 | 6 | 13 | 27-35 | 39 |
| 11.აუგსბურგი | 30 | 9 | 10 | 11 | 38-40 | 37 |
| 12.ვერდერი | 30 | 9 | 10 | 11 | 34-36 | 37 |
| 13.ჰანოვერი | 30 | 9 | 9 | 12 | 38-44 | 36 |
| 14.ვოლფსბურგი | 30 | 5 | 15 | 10 | 30-37 | 30 |
| 15.მაინცი | 30 | 7 | 9 | 14 | 32-47 | 30 |
| 16.ფრაიბურგი | 30 | 6 | 12 | 12 | 26-50 | 30 |
| 17.ჰამბურგი | 30 | 5 | 7 | 18 | 23-48 | 22 |
| 18.კიოლნი | 30 | 5 | 6 | 19 | 29-58 | 21 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-პარმა ................................ 0:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბრესტი-ლორიენი .......................... 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-ტონდელა ........................ 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი-კერკირა ................. 5:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ოსმანლი-ტრაბზონი ...................... 3:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-ვისლა .............................. 2:2

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-სილკებორგი ...................... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰამარბი-ბრომაპოიკარნა .............. 4:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოდო გლიმტი-რუსენბორგი ......... 0:1

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## მორაგბეთა ფლეი ოფი შეივსო



დიდი 10-ის 2017-18 წლების რეგულარული გათამაშება დასრულდა. გადამწყვეტ ტურში ირკვეოდა როგორ დაწყვილდებოდნენ გუნდები ფლეი ოფში და რომელ ქალაქში გაიმართებოდა შესარჩევი ფინალი.

ბოლო ტურამდე იყო ცნობილი, რომ ფლეი ოფში ორი თბილისური (ლოკომოტივი და ლელო-სარასენსი) და ოთხიც რეგიონის (ქუთაისის აია, გორის ჯიქი, ბათუმი და რუსთავის ხარები) გუნდი ითამაშებდა.

ტურის ცენტრალურ შეხვედრას გორმა უმასპინძლა. ჯიქი და ბათუმი ერთმანეთში არკვევდნენ, ვინ დაიკავებდა მესამე ადგილს და, შესაბამისად, ფლეი ოფის პირველ ეტაპზე მეექვსე გუნდს მიიღებდა. თამაში სტუმართა აქტიურობით დაიწყო, ტაიმის შუაში ბურთი მარცხენა ფლანგზე ჩათამაშდა, ბექა ტორაძემ მბოჭავი ცალი ხელით მოიგერია და მეორეთი ლელო გაიტანა. ჯიქმა ტაიმის ბოლოს უპასუხა, მამუკა ნინიძემ კარის წინ ფეხით ითამაშა და რევაზ ჯინჯიხაძე ბურთს პირით ხაზთან დაეწია, ხოლო ნინიძემ გარდასახა – 7:5.

მეორე ტაიმის დასაწყისში დევი დევსურაშვილმა გორელთა მეორე ლელო გაიტანა. ამ დროს ზღვისპირელები 13 კაცით თამაშობდნენ – ბექა მამრიკიშვილისა და სანდრო ქოიავას სინბინების გამო. შემადგენლობასთან ერთად თამაშიც გათანაბრდა და 56-ე წუთზე ხვიჩა ბუჯიაშვილმა ლამაზი კომბინაცია ლელოთი დაასრულა, ხოლო ბახვა კობახიძემ გარდასახვით ანგარიში გაათანაბრა. მატჩის მიწურულს მან ჯარიმაც გაიტანა და გორში ბათუმმა 15:12 იმარჯვა.

რადგან მასპინძლებმა ბონუსქულა აიღეს, ჯიქსა და ბათუმს სატურნირო ცხრილში 58-58 ქულა მოუგროვდათ. პირველ წრეში ჯიქს ბათუმში 22:12 ჰქონდა მოგებული და ურთიერთშეხვედრების ხარჯზე მან მესამე ადგილი შეინარჩუნა, ხოლო ბათუმი მეოთხეზე დარჩა.

აქედან გამომდინარე, ფლეი ოფში გორში რუსთავის ხარები ჩავა, რომელიც ლიდერ ქუთაისის აიას მედგრად დაუხვდა და 26-ე წუთისთვის ორი ლელოთი 12:0 დაწინაურდა, მაგრამ ქულები სტუმრებსაც სჭირდებოდათ და ერთი ლელო შესვენებამდე გაქვითეს, ორი კი მეორე ტაიმის პირველ ნახევარში გაიტანეს და 21:12 დაწინაურდნენ. ხარებმა ორჯერ დაიყვანა ჩამორჩენა 2 ქულამდე, მაგრამ აიამ ორჯერვე შეძლო საპასუხო ლელოს გატანა და საბოლოოდ 33:24 იმარჯვა.

რუსთაველთაგან ლელოები დათო თაბუკაშვილმა, ლაშა გოგიაშვილმა, ბიძინა ჯიმშიტაშვილმა და გიორგი ნარიმანიძემ გაიტანეს. ქუთათურთაგან თავი გიორგი ტორაძემ, თორნიკე მანაგაძემ, თემურ ირემაძემ, შოთა არეშიძემ და მიხეილ ბაბუნაშვილმა გამოიჩინეს.

ამ მარცხის შემდეგ ხარები მე-6 ადგილს ვერ ასცდა, მაგრამ ქუთაისელებს ბონუსი რომ არ აეღებინა, რეგულარული გათამაშების გამარჯვებული თბილისის ლოკომოტივი გახდა. რკინიგზელებმა არმიას 12 ლელო გაუტანეს, აქედან 6 გიორგი შკინინმა, და 78:17 გაიმარჯვეს.

ბონუსის აღების შემდეგ, თბილისელებს აიას მსგავსად 70 ქულა გაუხდათ და მას პირველი ადგილი დამატებითი მაჩვენებლებით ჩამოართვეს. შედეგად, შესარჩევ ფინალში, რომელიც 2 კვირის შემდეგ გაიმართება, აიას ლოკომოტივთან ქუთაისის ნაცვლად თბილისში მოუწევს თამაში. რაც შეეხება შკინინს, ის საუკეთესო მელელოვეთა დავაში ერთპიროვნულად დაწინაურდა. ახლა მის ანგარიშზე 22 ლელოა და ძნელად სავარაუდოა ზურაბ ძნელაძე (17 ლელო) დაეწიოს.

რაც შეეხება ბათუმს, ის ფლეი ოფის პირველ ეტაპზე თბილისის ლელო-სარასენსს დაუხვდება.

მარნეულის არმაზი თბილისელებთან მატჩის დებიუტში ნიკა წიკლაურისა და გოჩა ჩანადირის ლელოებით დაწინაურდა, გივი ცინცაძემ კი ორივე გარდასახა – 14:0. შესვენებამდე მერაბ კვირიკაშვილმა და სანდრო თოდუამ საპასუხო ლელოები გაიტანეს, ხოლო ირაკლი ყიასაშვილმა გარდასახვების გარდა ჯარიმაც გაიტანა და ლელო-სარასენსი 17:14 დაწინაურდა. მეორე ტაიმში ერთადერთი ლელო გავიდა, ის არმაზელი საბა ბერაძის ანგარიშზეა და მარნეულელებმა 19:17 იმარჯვეს.

ამავე ტურის კიდევ ერთ შეხვედრაში თბილისის აკადემიამ დიდი 10-იდან დაქვითებულ ბაგრატს ქუთაისში 40:7 სძლია.

ამრიგად, ფლეი ოფის პირველ ეტაპზე, 21 და 22 აპრილს, ჯიქი გორში ხარებს მიიღებს, ხოლო ბათუმი ლელო-სარასენსს უმასპინძლებს.

## ბაიერნის იმედი ნიკო კოვაჩია



მომავალი სეზონიდან მიუნხენის ბაიერნს ნიკო კოვაჩი რომ გაწვრთნის, უკვე ცნობილი ამბავია. ამის შესახებ უკვე აქტიურად წერენ ბავარიელები. კოვაჩი ბაიერნს 2018 წლის 1 ივლისს ჩაიბარებს და გუნდში 2021 წლის 30 ივნისამდე დარჩება.

**ჰასან სალიჰამიჯიჩი, ბაიერნის სპორტული დირექტორი:**

– ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ნიკო კოვაჩის სახით ბაიერნს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. როგორც მოგეხსენებათ, ნიკო ყოფილი ბავარიელია, რომელიც კარგად ცნობილია კლუბში მომუშავე ადამიანებისათვის, იცნობს მთლიან სტრუქტურას. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ სწორედ ეს არის ის მწვრთნელი, რომელიც ბაიერნს სამომავლოდ ესაჭიროება.

შეგახსენებთ, ნიკო კოვაჩი წლების განმავლობაში იცავდა ხორვატიის ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის ბაიერნის ღირსებას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხსენებულ სპეციალისტს მიუნხენში ასისტენტის სახით, მისი ძმა რობერტ კოვაჩიც ჩამოყვება, რომელიც ამჟამად მასთან ერთად, ფრანკფურტის აინტრახტის სამწვრთნელო შტაბში მუშაობს.

ბაიერნის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი, ლეგენდარული იუპ ჰაინკესი ინტერნეტ-გამოცემებთან მიცემულ ინტერვიუში, კოვაჩის შესახებ საუბრობს და „რეკორდმაისტერის" ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დადებითად აფასებს. 72 წლის სპეციალისტის განცხადებით, კოვაჩი შესანიშნავი მწვრთნელია, რომელიც აუცილებლად დაეხმარება ბაიერნს შემდგომი წარმატებების მოპოვებაში.

**იუპ ჰაინკესი:**

– უკვე არაერთხელ აღვნიშნე, რომ ნიკო კოვაჩი სხვადასხვა ეროვნების ფეხბურთელებთან ერთად, წარმატებულად მუშაობს ფრანკფურტელთა რიგებში. ის ამას უბრალოდ შესანიშნავად აკეთებს, სწორედ ამიტომაც გახდება იგი ბაიერნის მომავალი თავკაცი. მან ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით გამოვყოფდი მის მონდომებას. ნიკო ნოვატორია. ეს არის მწვრთნელი, რომელსაც ფეხბურთი განსაკუთრებით უყვარს და მოთამაშეებთან შესანიშნავ კავშირებს ამყარებს. მიმაჩნია, რომ ბაიერნმა ბრწყინვალე არჩევანი გააკეთა.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, იუპ ჰაინკესისგან განსხვავებით, უკმაყოფილებას არ მალავდა აინტრახტის სპორტული დირექტორი ფრედი ბობიჩი. ჟურნალისტებთან საუბრისას მან შემდეგი შინაარსის კომენტარი გააკეთა.

**ფრედი ბობიჩი:**

– ჩვენ გაკვირვებულები ვართ იმით, რომ ბაიერნმა კოვაჩის დანიშვნის შესახებ განცხადება სწორედ ახლა გააკეთა. ჩვენ წინ რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი გველოდება. ის, რომ ეს სიახლე მიუნხენიდან გაჟღერდა და არა ფრანკფურტიდან, მიუთითებს არაპროფესიონალიზმზე, ისევე, როგორც უპატივცემულობაზე.

## გოლდენ სტეიტი ისევ ზაზას გარეშე იგებს

ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა პლეი-ოფის სერიის მეორე მატჩში შინ სან ანტონიოს ანგარიშით 116:101 სძლია და ნბა-ს ჩემპიონის ტიტულის დასაცავად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

ჩვენდა სამწუხაროდ, მეომრებმა ისევ ფაჩულიას გარეშე მოიგეს, რომელიც სათადარიგოთა შორის კი იყო, მაგრამ თამაში არ მოუწია.

სასტარტო ხუთეულში ადგილი ჯაველ მაკგიმ დაიკავა, რომელმაც 18 წუთში 10 ქულა, 7 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. მეორე ცენტრმა დევიდ უესტმა კი 14 წუთში ასევე 10 ქულა ჩაიწერა აქტივში.

სერიის მესამე მატჩს გოლდენ სტეიტი სტუმრად 20 აპრილს გამართავს და დიდი ალბათობით ჩვენებური არც იქ ითამაშებს, რადგან რთული წარმოსადგენია, სტივ კერიმ ფაჩულია მოედანზე იმ ქალაქში გაუშვას სათამაშოდ, სადაც გულშემატკივრები კავაი ლეონარდის ტრავმის გამო არცთუ თბილად ექცევიან.



# ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის 6 მოთამაშე იბრძვის

ინგლისში პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის დაჯილდოება გაიმართება, სადაც პროფესიონალები ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეს გამოავლენენ.

კანდიდატი ექვსია: სიტის 3 ფეხბურთელი დავიდ სილვა, ლეროი ზანე და კვენ დე ბრუინი. მათი კონკურენტები კი ტოტენჰემელი ჰარი კეინ, ლივერპულელი მოჰამედ სალაჰ და მანჩესტერელი დავიდ დე ხეა არიან.

გადავხედოთ, ვის როგორი სეზონი ჰქონდა...

**ჰარი კეინი**



ინგლისის ნაკრების კაპიტანმა სეზონი შესანიშნავად დაიწყო და ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა, სანამ ბორნმუთთან არ დაშავდა. მართალია, კეინი მალევე დაბრუნდა, თუმცა მას შემდეგ გოლი არ გაუტანია და ბომბარდირთა დავაშიც სალაჰმა გადაუსწრო.

**კევინ დე ბრუინე**

ბელგიელი ბრწყინვალე სეზონს ატარებს და სიტის ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედიც არის. მის მიერ შესრულებული 20 საგოლე გადაცემა მგონი ყველაფერზე მეტყველებს!

**დავიდ დე ხეა**



დავიდ დე ხეამ სუპერ სეზონი ჩაატარა. რომელი და რამდენი მატჩი უნდა გავიხსენოთ? ესპანელს წელს რაც დაურტყეს, იმის 80% მოიგერია, პრემიერლიგაში 32 მატჩიდან 16-ჯერ კარი მშრალად შეინახა, რაც საუკეთესო შედეგია.

**ლეროი ზანე**

ზანემ მეორე მანჩესტერული სეზონიც კარგად ჩაატარა. გვარდიოლას შეტევის მთავარმა შემოქმედმა წელს 13 გოლი გაიტანა და 16 საგოლე გადაცემა შეასრულა.

**მოჰამედ სალაჰი**




აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელმა წელს ყველა გაოცებული დატოვა, მისგან ასეთ თამაშს ალბათ არავინ ელოდა. ეგვიპტელის მიერ ჩატარებულ შესანიშნავ სეზონზე, შესანიშნავი რიცხვებიც მეტყველებს, სალაჰმა წელს ლივერპულის მიერ გატანილი გოლების 51%-ში მიიღო მონაწილეობა. გაიტანა 39 გოლი და გააკეთა 11 საგოლე გადაცემა.

**დავიდ სილვა**

ოჯახური პრობლემების მიუხედავად, სიტის ლეგენდამ სეზონი კარგად ჩაატარა. ესპანელის ზუსტი პასების პროცენტული მაჩვენებელი 89-ს უდრის, რაც ლიგაში ყველა შემტევ მოთამაშეზე უკეთესია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ოლივერ კანი: „ბუფონს ფეხბურთიდან წასვლა დააგვიანდა“



გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე, ლეგენდარული ოლივერ კანი, გერმანულ მედიასთან თავის კოლეგაზე, ჯანლუიჯი ბუფონის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ უმჯობესი იქნებოდა იტალიელ კიპერს, საკუთარი საფეხბურთო კარიერა რამდენიმე წლის წინ დაესრულებინა.

**ოლივერ კანი:**

– ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ის, თუ როდის არის შესაფერისი დრო საფეხბურთო კარიერის დასრულებისთვის. ვფიქრობ, ბუფონს შეეძლო მსგავსი დამცირებისაგან თავი აერიდებინა როგორც მადრიდში გამართული შეხვედრის დროს, ისე იტალიის თასის მატჩში, თუ იგი არ იქნებოდა შეპყრობილი იმ ოცნებით, რომ ახალ-ახალ რეკორდებსა და გამარჯვებებს მიაღწევდა უეფას ჩემპიონთა ლიგაზე. რაღაც დროს დგება მომენტი, როდესაც აქტიური სპორტიდან უნდა წახვიდე. ბუფონის კარიერას, ხსენებული წითელი ბარათით ან იმით, რომ მან ამ ტურნირზე ვერ გაიმარჯვა, ჩრდილი არ მიადგება. ის იყო მსოფლიოს ჩემპიონი და საუკეთესო მეკარე. აი, რა ემახსოვრება ხალხს ჯიჯი ბუფონის შესახებ.

# კორეელმა მეზობლის ძაღლი მოკლა და მერე მისი ხორცით მისი პატრონის გამასპინძლებას შეეცადა

სამხრეთკორეელმა ფერმერმა მეზობლის ძაღლი მოკლა, რაც იმით ახსნა, რომ ცხოველის ხმაურმა წყობილებიდან გამოიყვანა.

62 წლის მამაკაცმა, რომლის ვინაობა არ სახელდება, თავადვე აღიარა საკუთარი დანაშაული. ეს მას შემდეგ გააკეთა, როდესაც მეორე მეზობელმა მომხდარის თაობაზე ძაღლის პატრონს აცნობა. მან აღიარა, რომ ველიშ-კორგის ჯიშის ძაღლის გამუდმებულმა ყეფამ ის წყობილებიდან გამოიყვანა. მისი თქმით, ძაღლს ქვა ესროლა, რის შედეგადაც ის მიწაზე უგონოდ დაეცა. ამის შემდეგ, მან ცხოველი გაგუდა, მისი ხორცისგან კი კერძი მოამზადა.

ძაღლის პატრონის ქალიშვილმა დაკარგული შინაური ცხოველის ძებნა დაიწყო. ის მის ფოტოსურათებს არიგებდა და მეზობლებს მის მოძებნაში დახმარებას სთხოვდა. ცხოველის მკვლელი გოგონას დაჰპირდა, რომ დაეხმარებოდა, მეორე დღეს ის ძაღლის პატრონს სახლში ეწვია, მასთან ერთად დალია და მისი დანუგეშება სცადა. ასევე ფერმერმა მეზობლის მთელი ოჯახი თავისთან სადილად დაპატიჟა. როგორც კი ოჯახმა გაიგო, რომ სადილად ძაღლის ხორცისგან მომზადებული კერძი ექნებოდათ, მათ მიწვევაზე უარი თქვეს.



სამხრეთ კორეაში ძაღლის ხორცის ჭამა ტრადიციული სამზარეულოს ნაწილს წარმოადგენს. თუმცა ახალგაზრდა თაობა შეგნებულად აცხადებს უარს შინაური ცხოველების დახოცვაზე. აქტივისტების ძალისხმევის შედეგად, მიღებული იქნა კანონი, რომლის თანახმადაც ძაღლის ხორცის ჭამა და მისი გაყიდვა-გასაღება ორ წლამდე პატიმრობითა და ფულადი ჯარიმით ისჯება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ქარმა მძარცველები ნაძარცვის გარეშე დატოვა

ქარმა მძარცველები ნაძარცვის გარეშე დატოვა ბრიტანეთის ქალაქ დროიკ-ლსდენში. მომხდარის ამსახველი ვიდეო დიდი მანჩესტერის საგრაფოს პოლიციამ გაავრცელა.

ძარცვა 17 მარტს მოხდა. ბოროტმოქმედმა თავის თანამზრახველთან ერთად, მუქარის ძალით ტურისტული სააგენტოს თანამშრომლებს ფული წაართვა.

გაქცევის მცდელობისას, ერთმა მძარცველმა წართმეული ფულის შარვალში დამალვა სცადა, მაგრამ ძლიერი ქარის გამო ფული ქუჩაში მიმოიფანტა. მძარცველებს მისი შეგროვება აღარ უცდიათ და დანაშაულის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ მომხდარის თვითმხილველებს მიმართა თხოვნით, გამოეხმაურნენ და ეჭვმიტანილებზე რაიმე სახის ინფორმაცია მიაწოდონ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



# ყველაზე მახინჯი ბრიტანელი ძაღლი მოდელი გახდა



15 წლის უკბილო ძაღლი, სახელად ჩეიზი, რომელიც დიდი ბრიტანეთის ყველაზე მახინჯი ძაღლის ტიტულის მფლობელია, სამოდელო სააგენტოსთან ითანამშრომლებს. რასაც ოფიციალურად გაფორმებული კონტრაქტი ადასტურებს.

ჩინური ჯიშის ბრიტანელი კატარაქტითა და ბეწვის ცვენითაა დაავადებული, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია სააგენტო Model Direct-ში მოხვედრილიყო, რომელიც ბევრ ცნობილ ბრენდთან თანამშრომლობს. ძაღლის პატრონ შტორმ შაილერს იმედი აქვს, რომ თავისი შინაური ცხოველის სახელს ახალ სამყაროში იხილავს.

2017 წელს კონკურსზე „მსოფლიოს ყველაზე მახინჯი ძაღლი“, ჩეიზმა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე სამი წლის ნეაპოლური მასტიფი, სახელად კალიფორნია გავიდა.

# ასტროპროგნოზი

## 18 აპრილისთვის



**ვერძი** – ნებისმიერი საქმის შესრულება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. კეთილისმყოფელი დღეა გეგმების შესამუშავებლად. **კურო** – სწორად იკვებეთ, დაიცავით დღის რეჟიმი. მიენდეთ განსაკუთრებულად გამახვილებულ ინტუიციას. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ყველანაირ სიტუაციაში სიმტკიცის გამოჩენა მოგიწევთ. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისა და ნათესავების დახმარების იმედზე ნუ იქნებით. ერიდეთ ქალაქიდან გასვლას. **ლომი** – იფრთხილეთ. ფინანსური ოპერაციები დღეს არასასურველი შედეგით დამთავრდება. **ქალწული** – ერთდროულად რამდენიმე გადაწყვეტილება გაქვთ მისაღები. ამის მიუხედავად, აჩქარება საქმეს მხოლოდ ავნებს. **სასწორი** – კონფლიქტურ სიტუაციაში კომპრომისზე წასვლაა საჭირო. დღის მეორე ნახევარში მარტო დარჩით და დაისვენეთ. **ღრიანკალი** – წინააღმდეგობრივი დღეა. სამსახურში ვითარება სტაბილურია. გარისკვა რეკომენდებულია. **მშვილდოსანი** – დიდხანს მარტო დარჩენას ერიდეთ. ახლობლებთან კონტაქტი დღის ნეგატიურ ტენდენციებს გააქარწყლებს. **თხის რქა** – პლანეტები გაფრთხილებენ: ყურადღებას ნუ მოადუნებთ. მოსალოდნელია ურთიერთობის დაძაბვა ხელმძღვანელობასთან. **მერწყული** – ფინანსური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საკუთარი თავის რწმენას ნუ დაკარგავთ. **თევზები** – დაფიქრდით, სად დაუშვით შეცდომები და ეცადეთ, მათ გამოსწორებაზე იზრუნოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 2. მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება; 3. მდინარე ჩინეთში; 4. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 6. ცხენის, ვირის ასაკიდი ტვირთი; 9. უმარტივესი, ერთუჯრედიანი ცხოველი; 11. ენის ანთება; 15. ქართული გაზეთი; 16. სათბურში გამოყვანილი ბოსტნეულის ნერგი; 17. წერტილებისა და პატარ-პატარა ხაზებისგან შედგენილი წყვეტილი ხაზი; 19. თეორემა, რომელსაც მტკიცებულება არ სჭირდება; 21. გერმანული ლუდი; 22. რეგიონი კახეთში.

**თარაზულად**: 5. კვირის ესა თუ ის დღე, რომელიც დანიშნული იყო წინასწარ სტუმრის მისაღებად; 7. კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 10. ჩეხი კომპოზიტორი; 12. მდინარე ოზურგეთში; 13. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 14. გერმანელი კინოლოგი, პოპულარული ძაღლის ჯიშის გამომყვანი; 18. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 20. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 23. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 24. მდინარე კახეთში; 25. გულიანი ხვეულა ნამცხვარი; 26. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 27. გულის რიტმული მუშაობის დარღვევა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მაჰარაჯა; 2. ოტიატრი; 3. ომანი; 4. პუშკინი; 5. ჰორმონი; 10. მარტვილი; 11. მასპინძელი; 12. ჰიბრიდი; 15. დიოსკურია; 16. ფლინტი; 17. ვიმპელი; 20. პრუსი.

**თარაზულად:** 6. სანატორიუმი; 7. ლუიდორი; 8. კაიზერი; 9. დაგერი; 13. წიდა; 14. ყარაია; 18. ტრიკოტაჟი; 19. კილტი; 21. ფრუმი; 22. დილეგი; 23. ნინოშვილი; 24. აპატრიდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შულერი; 2. „ციცკა“; 3. აზალია; 4. პრაიდი; 6. კათედრა; 9. შულტა; 11. „ბილაინი“; 15. ნიკოლსონი; 16. სულორი; 17. კარამელი; 19. იდიოტია; 21. ბრონქსი; 22. ჰაშიში.

**თარაზულად:** 5. სუროგატი; 7. არქტიკა; 8. საუნჯე; 10. დუმბაძე; 12. დვირი; 13. „ონიმა“; 14. ბეტანკური; 18. აბატი; 20. ბურახი; 23. პაულსი; 24. „ორლი“; 25. „ხორუმი“; 26. შინი; 27. ოსტერია.

# ანა ურუშაძის „საშიში დედა“ სამი ჯილდოს მფლობელი გახდა

რეჟისორ ანა ურუშაძის ფილმი „საშიში დედა“ ერთდროულად სამი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახდა.

რეჟისორის ნამუშევარმა მოიპოვა მთავარი ჯილდო საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის სან ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, დაიმსახურა კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის ჯილდო ევროპული კინოს ფესტივალზე და მიიღო ჯილდო საუკეთესო დებიუტისთვის მაროკოს ქალაქ ტეტუანში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე.

– მადლობა ანა ურუშაძეს იმისთვის, რომ გვაჩვენა, როგორ იბრძვის ქალი საკუთარი უფლებების მოსაპოვებლად, – ნათქვამია ევროპული კინოს რიგით მე-19 კინოფესტივალის ჟიურის განცხადებაში.

ანა ურუშაძის „საშიში დედა“ უკვე 20-ზე მეტი ჯილდოს მფლობელია. რეჟისორის მიერ გადაღებული ფილმი საქართველომ საუკეთესო უცხოურენოვანი ფილმის კატეგორიაში ოსკარზეც წარადგინა, თუმცა ანა ურუშაძის ნამუშევარი მოკლე ნუსხაშიც ვერ მოხვდა.

„საშიში დედა“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. ის საქართველოსა და ესტონეთის ერთობლივი პროდუქციაა. ანა ურუშაძის ფილმში მთავარ როლებს ნატა მურვანიძე და დიმიტრი ტატიშვილი ასრულებენ. მასში აღწერილია თანამედროვე ცხოვრების ფონზე ქალის რთული და შინაგანი თუ სოციალური პრობლემებით დაძაბული ყოველდღიურობა. მთავარი გმირის როლს უზადოდ განასახიერებს ნატო მურვანიძე. მხატვრული ფილმი 50 წლის ქალის, მანანას ცხოვრებას ასახავს, რომლის როლსაც ნატო მურვანიძე ასრულებს. დედა და დიასახლისი დილემის წინაშე დგას. მას უწევს, არჩევანი გააკეთოს ოჯახურ ცხოვრებასა და მთავარ გატაცებას, წერას შორის. მანანა ცხოვრების აზრს წერაში პოულობს.



# წინანდლის მუზეუმში ფიროსმანისა და ზდანევიჩების ნამუშევრები გამოიფინება




წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი და ბაია გალერეა ერთობლივ გამოფენას გამართავენ.

გამოფენა „ფიროსმანი და ზდანევიჩები“ წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში წარმოადგენს ქართული კულტურის სამ პერსონას – ნიკო ფიროსმანს, კირილე და ილია ზდანევიჩებს, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება მოცულია ფიროსმანის სამყაროთი და ემოციური ინტონაციით.

გამოფენაზე წარმოდგენილია ნიკო ფიროსმანის „ნატურმორტი შაქრის თავით“ მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმიდან, კირილე ზდანევიჩის ფერადი გრაფიკა კერძო კოლექციებიდან და ილია ზდანევიჩის პუბლიკაციები ასევე კერძო კოლექციიდან.

საუკუნის დასაწყისში დაწყებული ურთიერთობა, რომელიც ერთ საუკუნეზე მეტს ითვლის, წინანდლის გამოფენაზე გრძელდება.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურის სივრცეში მიმდინარე დინამიკური და მრავალფეროვანი მოვლენების ფონზე ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების აღმოჩენა სენსაციური ფაქტია, მით უმეტეს, რომ აღმომჩენები იმ პერიოდისა და შემდგომი ეპოქის ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურები არიან, როგორებიც იყვნენ ილია და კირილე ზდანევიჩები. ფიროსმანის აღმომჩენთა რიგებში, ზდანევიჩებთან ერთად, ფრანგი მხატვარი მიხეილ ლე დანტიუ, კოლაუ ჩერნიავსკი და სხვა პირებიც იყვნენ, მაგრამ ძმები ზდანევიჩები იდგნენ აღმოჩენის სათავეში. მათი მონაწილეობით იგეგმებოდა და ვითარდებოდა პროცესი, რომლის საშუალებით საქართველომ და მსოფლიომ მიიღო ეს მხატვარი.

პოეტი, მწერალი და ფილოსოფოსი ილია ილიაზდი ზდანევიჩი და მხატვარი, ფუტურისტი კირილე ზდანევიჩი საუკუნის დასაწყისში მიმდინარე მოვლენების ავანგარდში იდგნენ და ქართულ ხელოვნებაში განხორციელებული კულტურული მიგრაციის პროცესს მართავდნენ. ქართველი და უცხოელი, ევროპიდან და რუსეთიდან ემიგრირებული მხატვრების, მწერლებისა და პოეტების ჯგუფი ქმნიდა იმ პერიოდის ქართული კულტურის უნიკალურ ნახაზს, რომლის პოლისტრუქტურულ სივრცეში მთასავით აღმოცენდა ფიროსმანის ფიგურა.

ზდანევიჩების არქივში, პუბლიკაციებსა თუ ნახატებში, ყველგან ფიგურირებს ფიროსმანი, წყალქვეშა მდინარესავით მიჰყვება მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას. მისი სამყაროთი, თემებით, განცდით გამსჭვალულია ორივე ძმის შემოქმედება, აქაც, საბჭოთა საქართველოს სახეცვლილ გარემოში, კირილეს ნახატებსა და საფრანგეთში ემიგრირებულ ილიას პუბლიკაციებშიც. პარიზშიც გრძელდება ილიასა და ფიროსმანის უხილავი თანაარსებობა, იმდენად, რომ ილიაზდის გავლენით პიკასომ დახატა მისი პორტრეტი ილიაზდის პუბლიკაციისათვის „ფიროსმანი. 1914 წელი“.

# „მხოლოდ ქართულის“ საუკეთესო ათეული ცნობილია

მუსიკალური გადაცემა „მხოლოდ ქართული“ გადამწყვეტ ფაზაში გადავიდა.

პროექტის ჟიურის წევრებმა სოფო ნიჟარაძემ, მარინა ბერიძემ და გიორგი უშიკიშვილმა შერჩეული კანდიდატებიდან ის საუკეთესო ათეული დაასახელეს, რომლებიც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

ხანგრძლივი მსჯელობისა და კამათის შემდეგ „მხოლოდ ქართულის“ ათეულში მოხვდნენ ალექსანდრე მრელაშვილი, სოფო ბათილაშვილი, ოთო კვალიაშვილი, გოგა გიორგელაშვილი, საბა კემულარია, ქრისტინე შუშაძე, ქრისტინე ჯოხაძე, შოთა ლეგაშვილი, ნანუკა მიქაძე და კონსტანტინე კარანაძე.

ორშაბათიდან სწორედ ეს ათი კონკურსანტი დაიწყებს ბრძოლას გამარჯვებისთვის და პირდაპირ ეთერში დაამტკიცებს, რომ ქართული სიმღერის შესრულება ყველაზე კარგად შეუძლია.

კონკურსანტებს „მხოლოდ ქართულის“ წამყვანები ნიკა გვარამია, ილო ბეროშვილი, არჩილ სოლოღაშვილი და თიკა ფაცაცია გაამხნევებენ.



# კოალების ჩხუბი ვიდეოზე გადაიღეს

ავსტრალიელმა მამაკაცმა მოახერხა ვიდეოზე გადაეღო ორი კოალას ჩხუბი, რომელმაც ადგილობრივი მას მედია დააინტერესა.

ცხოველების მფლობელმა ჯარიდ სიმისტერმა ვიდეორგოლი თავისი სახლის უკანა ეზოში გადაიღო, რომელიც ქალაქ ადელაიდაში მდებარეობს. მასზე ერთ-ერთი კოალა მეორეს ღრიალით თავს ესხმის და ბრჭყალებს აჩენს. მან მოწინააღმდეგის მიწაზე წაქცევა მოახერხა, მაგრამ ადამიანის მიახლოვებამ ცხოველები აიძულა დამშვიდებულიყვნენ და ვოლიერის სხვადასხვა კუთხისთვის მიეშურებინათ.

სიმისტერმა მის მიერვე გადაღებულ ვიდეორგოლს ირონიული კომენტარი დაურთო:

– ავსტრალიაში ცხოველებს არა მხოლოდ შენი, არამედ ერთმანეთის დახოცვაც სურთ.

აღსანიშნავია, რომ მამრი კოალები ძალიან ხშირად ესხმიან თავს ერთმანეთს, განსაკუთრებით შეჯვარების პერიოდში. მდედრები პარტნიორს მისი ზომისა და ხმამაღალი ღრიალის მიხედვით ირჩევენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლემ ვილნიუსის საერთაშორისო კონკურსზე წარმატებას მიაღწია

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლემ ნინო ხოჭოლავამ ქალაქ ვილნიუსში დვარიონასის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მოიპოვა ლაურეატის წოდება და სპეციალური პრიზი დვარიონასის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის.

ნინო კონკურსის ორგანიზატორებმა სპეციალური დიპლომით დააჯილდოვეს და მას წარმატება საზეიმო ვითარებაში მიულოცეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# აგრესიული ფუტკრების გუნდმა საცხოვრებელი სახლი დაიპყრო

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ელ-პასოში აგრესიული ფუტკრების უზარმაზარმა გუნდმა საცხოვრებელ სახლში დაიდო ბინა. ადგილობრივი მეფუტკრე ამტკიცებს, რომ შენობის კედლებსა და სახურავის ქვეშ მილიონამდე მწერმა დაიდო ბინა. მისი აზრით, ისინი აფრიკული და ევროპული ფუტკრების ჰიბრიდს წარმოადგენენ და ჩვეულებრივ ფუტკრებზე 20-30-ჯერ უფრო მეტად აგრესიულები არიან.

მცხოვრებლები უკვე შეეცადნენ ისინი თავიდან მოეშორებინათ, მაგრამ დეზინსპექტორმა, რომელიც მათგან შენობის გაწმენდას ცდილობდა, ისინი უფრო მეტად გააბრაზა. მან სახურავის ქვეშ მდებარე რამდენიმე სკის მოშორება მოასწრო, თუმცა ამის შემდეგ იძულებული გახდა საქმისთვის თავი დაენებებინა.

იმისთვის, რათა ფუტკრები მთლიანად გააუვნებელყონ, სპეციალისტებს კედლებში ხვრელების გაკეთება მოუწევთ, რომელიც სამუშაოს დასრულების შემდეგ აუცილებლად უნდა ამოივსოს. სახლის მფლობელებს ასეთი ხარჯის გაწევის საშუალება არ აქვთ. ხოლო ქალაქის ხელისუფლება აცხადებს, რომ ფუტკრებთან ბრძოლა მათ მოვალეობას არ წარმოადგენს.

# იტალიაში ქართველი ოპერის მომღერლები კონცერტს გამართავენ




საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს ფარგლებში იტალიაში, მარკეს რეგიონის ქალაქ პეზაროში, ქართული კულტურის დღეები იმართება, რომლის ორგანიზატორები იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო, პეზაროს საერთაშორისო საოპერო აკადემია და პეზაროს მერია არიან.

ქართული კულტურის დღეები რამდენიმე ღონისძიებას მოიცავს. კულტურის კვირეული ქართველი მხატვრების სოფო ბერძენიშვილის, ლიკა რუსაძისა და მოქანდაკე ირაკლი წულაძის ნამუშევრებით გაიხსნა. ფრანკო კორელის აუდიტორიუმში კი გაიმართა ქართული ფოლკლორისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომელიც „თუშურმა ბრენდმა“ წარმოადგინა.

ქართული კულტურის კვირეულის ფარგლებში პეზაროს ექსპერიმენტულ თეატრში მაყურებელმა რეჟისორ ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“ ნახა. ფილმის დაწყებამდე გაიმართა მცირე კონფერენცია საქართველოსა და ოკუპირებული რეგიონების შესახებ.

კულტურის დღეები 18 აპრილს როსინის სახელობის საოპერო თეატრში გალა-კონცერტ „ვივა როსინით“ დასრულდება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული ოპერის ვარსკვლავები: სოპრანო ნინო ლეჟავა, მეცოსოპრანო ნინო სურგულაძე, ტენორი ოთარ ჯორჯიკია და ბარიტონი სულხან გველესიანი. მათ აკომპანემენტს პიანისტი ეკა მეტრეველი გაუწევს.

# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი გასტროლებს შვეიცარიაში გამართავს



18 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით შვეიცარიაში, ნევშატელის ტაძარში, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი მონაწილეობას მიიღებს ლუი კრელიეს ოპერის ორ წარმოდგენაში.

გასტროლების ფარგლებში გაიმართება კონცერტი, სადაც ქართული კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით შესრულდება ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები, მოეწყობა თეატრის სიმებიანი ინსტრუმენტების გამოფენა, დამზადებული კლოდ ლებეს მიერ, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით.

# ნინი შერმადინმა ახალი სიმღერა ჩაწერა




მომღერალმა ნინი შერმადინმა ახალი სიმღერა ჩაწერა. ის ამერიკიდან საქართველოში რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა, თუმცა იმდენი შეთავაზება და მიწვევა მიიღო, რომ ორი კვირით ჩამოსულმა გადაწყვიტა, შემოდგომამდე საქართველოში დარჩეს.

ნინის ახალ სიმღერას „სიცივეც მომნატრებია“ ჰქვია. მუსიკის ავტორი ირაკლი შარაძეა, ტექსტი მამა პეტრე კოლხს (კვარაცხელია) ეკუთვნის, ბექვოკალისტები კი ანსამბლი „ალილო“ და დავით არჩვაძე არიან.

ნინი შერმადინის ახალი სიმღერა მისმა ერთგულმა მსმენელმა უკვე მოისმინა და მომღერლის ნამუშევარი დადებითად შეაფასა.

**სამგლოვიარო განცხადებები**

წმინდა მთავარანგელოზ გაბრიელის ტაძრის მრევლი ღრმა მწუხარებით იუწყება ტაძრის მედავითნის გურანდა მიქაძის დედის, ქალბატონი

**მზია მიქაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.4172

ევრო — 2.9886

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4571

100 რუსული რუბლი — 3.8982

## ამინდის პროგნოზი

18 აპრილისთვის





5 აპრილიდან
150 ამბავი
ნობელიანტი ფიზიკოსები
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




28 მარტიდან
130 ამბავი
ლუდი
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




29 მარტიდან
ავთანდილ ბუხრაშვილი
მყუდრო აგარაკის საიდუმლოება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




3 აპრილიდან
79 ამბავი
ზვიად გამსახურდია
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი





## იუმორი



რესტორანში მომხმარებელი ოფიციანტს ეკითხება:

– რას მირჩევთ, რა შევუკვეთო სადილად?

– როგორ გითხრათ? დღეს ყველაზე ნაკლებად კატლეტებს იწუნებენ.

●●●

ხელისუფლების მეთაურს ქალი ურეკავს და ეკითხება:

– ბატონო პრემიერო, მე მარტოხელა დედა ვარ და ორ ბიჭს ვზრდი. რას შეიძლება ველოდე ხელისუფლებისგან?

– მინიმუმ ჯარში ორ გასაწვევს!

●●●

ორი დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რას საქმიანობ, რითი ხარ დაკავებული?

– პოლიტიკური მიმომხილველი, სპორტული კომენტატორი და კინოკრიტიკოსი ვარ.

– პენსიაზე გახვედი?

– ჰო.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა უნდა გააკეთო იმისთვის, რომ სახლში სრული ძალაუფლება აიღო ხელში?

– პირველ რიგში უნდა დაიქვემდებარო ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი და ტელევიზორი.

●●●

მასწავლებელი გიგის ეუბნება:

– გიგი, აბა მოიყვანე იმის მაგალითები, თუ როგორ დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ალკოჰოლი ადამიანის ორგანიზმზე.

– რა, ისევ მშობლები უნდა მოვიყვანო სკოლაში?

●●●

მამაკაცი ქუჩაში ქალს ეუბნება:

– რა საოცარი ბავშვია!

– ჩემი შვილია, – პასუხობს კეკლუცად ქალი.

– და ხომ ვერ მეტყვით, ეს სიმპათიური ბიჭია თუ საშინელი გოგონა?

●●●

განცხადება:

– ტუჩების, მკერდის, დუნდულების, სხეულის სხვა ნაწილების გადიდება ქირურგიული ჩარევის გარეშე! მიმართეთ მეფუტკრე მიხოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მაიკლ ოლივერსა და მის ცოლს სიკვდილით ემუქრებიან



მაიკლ ოლივერმა რეალისა და იუვენტუსის დაპირისპირების ბედი გადაწყვიტა, როდესაც იუვენტუსის კარში ბოლო წუთზე პენალტი დანიშნა. ამ ეპიზოდს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მაიკლ ოლივერს მუქარის შემცველი შეტყობინებებიც მისდის, რის გამოც ინგლისში პოლიციამ მას დაცვაც დაუნიშნა.

ოლივერი ფიქრობს, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც პენალტი დანიშნა, მაგრამ იუვენტუსის ფანებს ამ საკითხზე სხვა მოსაზრება აქვთ.

## ემრე ჯანის მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია

ლივერპულის გერმანელი ნახევარმცველის ემრე ჯანის მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია, რადგან ემრემ შესაძლოა ლივერპული დატოვოს და კარიერა იუვენტუსში გააგრძელოს. იუვენტუსი ჯანს საკმაოდ კარგ პირობებს სთავაზობს, მაგრამ გერმანელი ნახევარმცველი ვერც ლივერპულს ელევა და ჯერჯერობით მას გადაწყვეტილება არ მიუღია. ჯანის ყიდვა სხვა გუნდებსაც სურთ, მაგრამ იუვენტუსი ყველაზე რეალური კანდიდატია.



## ედენ აზარი, სავარაუდოდ, ზაფხულში ჩელსიდან წავა

ჩელსის ბელგიელი ვარსკვლავი ედენ აზარი ზაფხულში, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს. ამის შესახებ ინფორმაცია ბრიტანულ პრესაში ვრცელდება.

აზარის სატრანსფერო ფასი 150 მილიონი ევრო იქნება და ამ თანხაზე ნაკლებად ჩელსი მის გაყიდვას არ აპირებს. თუ ასეთი თანხა არავინ გადაიხადა, მაშინ ბელგიელი ნახევარმცველი ჩელსიში დარჩება.

აზარის ყიდვა მადრიდის რეალს სურს, მაგრამ უცნობია, თუ რამდენად მოინდომებენ მადრიდელები აზარში 150 მილიონის გადახდას.

რეალის გარდა, აზარის შეძენით პსჟ-ც არის დაინტერესებული, თუმცა ფრანგული კლუბის წარმომადგენლები ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებენ.

## პოლ პოგბამ შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედი დატოვოს



მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ პოგბამ შესაძლოა გუნდი დატოვოს, რადგან მას ჟოზე მოურინიოსთან მცირე კონფლიქტი აქვს. ჯერჯერობით ამაზე ფეხბურთელი ხმამაღლა არ საუბრობს, მაგრამ პოგბამ რამდენიმე მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, რაც მისთვის უჩვეულოა.

პოგბას ტრანსფერში მანჩესტერ იუნაიტედმა 100 მილიონზე მეტი გადაიხადა, ამიტომ პოგბას შეძენის მსურველებს მინიმუმ იმავე თანხის გადახდა მოუწევთ. აღსანიშნავია ისიც, რომ პოგბამ მასში გადახდილი ფული ჯერჯერობით ვერ გაამართლა.

## ფემინისტმა პრინც ჰარის მალე განქორწინება უწინასწარმეტყველა





ცნობილმა ინგლისელმა ფემინისტმა მწერალმა ჟერმენ გრირმა პრინც ჰარის და მის საცოლეს მეგან მარკლს განქორწინება უწინასწარმეტყველა.

79 წლის გრირის თქმით, მარკლი ამ ქორწინებისგან თავის დაღწევას მოწყენილობის გამო შეეცდება. ფემინისტი თვლის, რომ გოგონა პრინც ჰარის ცოლად სტატუსისა და ფულის გამო მიჰყვება და ამისთვის ბევრი რამ გაიღო მსხვერპლად. ამიტომ მალე მას მობეზრდება სიმდიდრე და „სამეფო სახლის მონოტონური ცხოვრება“.

– ვფიქრობ, ის გაიქცევა, როგორც ეს მას ადრეც გაუკეთებია, თუმცა გამორიცხული არაა, რომ პრინცი ჰარიც თან გაიყოლოს, – განაცხადა გრირმა.

მწერალმა ასეთი დასკვნა მარკლის ადრინდელი ქორწინების გაანალიზების შემდეგ გამოიტანა. ის პროდიუსერ ტრევორ ენგელსონს საკუთარი ინიციატივით დაშორდა და საქორწინო ბეჭედი ფოსტით დაუბრუნა. ამავე დროს გრირმა აღნიშნა, რომ ესმის, თუ რა ედო საფუძვლად ამ ქორწინებას.

– და რატომ არის, რომ უცბად სიღარიბეში გაზრდილი გოგონა ცოლად მიჰყვება მილიონერ ადამიანს? ამის ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ, – აღნიშნა ფემინისტმა.

შეგახსენებთ, რომ პრინც ჰარისა და მეგანი მარკლის ქორწილი მიმდინარე წლის 19 მაისს უინძორების სასახლეში წმინდა გიორგის ეკლესიაში გაიმართება. ამ ქორწინების გამო გოგონამ უარი თქვა სამსახიობო კარიერაზე და ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღებასაც გეგმავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მარკო ვერატი: „სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როდესაც ბარსელონაში არ წავედი“

პსჟ-ს იტალიელმა ნახევარმცველმა მარკო ვერატიმ განაცხადა, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც პსჟ-ში დარჩა. ვერატის თქმით, ის ბედნიერია თავის გუნდში და სურს, რომ კიდევ დიდხანს იყოს პარიზული გუნდის წევრი:

– პსჟ-ში ყველაფერი ისეა, როგორც მსურს და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. შემეძლო, სხვა გუნდში გადავსულიყავი, მაგრამ ასე არ მოხდა და, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

ვერატიმ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პსჟ აუცილებლად ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად იბრძოლებს მომავალ სეზონში.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების ან სპეციალური ჩაქუჩის კაკუნით; 2. სარეკლამო ლოზუნგი; 3. მიქელანჯელოს ქანდაკება; 4. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 5. პატიმრობა განსაკუთრებით მკაცრ პირობებში; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ესპანელი მწერალი; 12. ძაღლის პირსაკრავი; 15. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 16. ქართული ტელეკომპანია; 17. სხეულის წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 20. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი.

**თარაზულად**: 6. განდიდების მანია; 7. დარბაზის ფეხბურთი; 8. უდაბნო ჩილეში; 9. ყაზახეთის დედაქალაქი; 13. პატარა რესტორანი; 14. სვან მამაკაცთა ცეკვა; 18. მყვინთავთა ჰერმეტული კოსტიუმი; 19. დიპლომატიური წარმომადგენელი; 21. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 22. ებრაული წესით დამზადებული ღვინო; 23. მე-11 საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი კასპის რაიონში; 24. მეცნიერული ნაშრომი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

